On this basis, the court has the right, for any lawful reason, to request the mediation participants to disclose the information revealed in the mediation process. This rule calls into question the high standard of the principle of confidentiality, as its wording is general. However, if we rely on international customary law mediation practice, courts should use a four-part test when evaluating the claim for the privilege of confidentiality, one of the main components of which – the damage caused to the parties as a result of the disclosure of communications must be greater than the benefits received as a result of the disclosure to the court.⁵⁶ Therefore, all judges should be aware that adhering to the principle of confidentiality in mediation is vital.

6. BREAK OF THE DUTY OF PROTECTION OF CONFIDENTIALITY AND ITS LEGAL CONSEQUENCES

6.1. The essence of the break of confidentiality and the forms of expression (declaration)

Labor relations begin on the basis of an employment contract between the employee and the employer, which is based on equality and free will.⁵⁷ The danger of illegitimate break of the principle of confidentiality can be seen in the record of the Labor Code, according to which the Minister has the right to request from the mediator to submit a report on the dispute. While all internal communications are under the shield of privacy, the employer in this case finds itself in a situation where its commercial secrets and its reputation are threatened. Business entities communicate and interact with each other,

56 Brown, K., (1991). Confidentiality in mediation: status and implications, *Journal of dispute resolution*, Vol, Iss. 2, 315.

57 Takashvili, S., (2014). The Importance of Mediation as a Form of Alternative Dispute Resolution in the Process of Collective Labor Dispute Discussion and Settlement, *Journal "Alternative Dispute Resolution-Yearbook"*, 48.

so it is essential for them not to disclose their commercial secrets and to be protected from publicity. Therefore, the Minister's authority to request a report is somewhat in conflict with Paragraph 9 of Article 63 of the Labor Code of Georgia, which protects the confidentiality of collective disputes and obliges the mediator not to disclose information that became known to him during the mediation process.⁵⁸ The mediator should try to identify the interests of the parties, the needs and make them perceptible to both parties, for this purpose separate meetings are held with the parties. One of the tasks of separate meetings may be to organize the making an offer, in particular, after a separate meeting, the mediator notifies the other party of the information or offer.⁵⁹ At this point, the internal confidentiality standard is at stake, as the mediator may inadvertently and unintentionally transfer strategic and key information of one party while sharing information with the other party. Giving false facts deliberately (intentionally) to the other party, of course, complicates the dispute and raises the question of whether false information is generally protected by mediation confidentiality or not? If we follow the general rule, all information in the mediation enjoys confidentiality, although there is an opinion on the ethical obligation that if the party is aware of the falsity of the information provided by the other party, this information is not protected by confidentiality.⁶⁰ Nevertheless, the disclosure of confidential information in the mediation process due to the disclosure of the disputing party's action and dishonesty cannot be considered as a legitimate basis for break (breach) of confidentiality under current national law.⁶¹

6.2. Legal consequences of break of confidentiality

For the mediation process to be successful, it is necessary for the parties to "open up" due to the in-

58 Labour Code of Georgia, 17/12/2010, 4113-6ს.

59 Tvauri, R., (2015). Standard of Binding by Confidentiality Principle in Mediation Process, *Journal "Alternative Dispute Resolution-Yearbook"*, 27.

60 Kalandadze, D., (2018)-2019. The Principle of the Confidentiality in the Mediation Process and Georgian Legislative Reality, *Journal "Alternative Dispute Resolution-Yearbook"*, special edition, 36.

61 *Ibid.*, 28.

formal nature of mediation, which allows the parties to speak freely about facts, interests, emotions and opportunities.⁶² During mediation between business entities, both parties may disclose confidential and potentially threatening unfavorable information to them in the hope that this information will remain absolutely confidential. In such commercial disputes, where the dispute is over a large amount of money, it is important for both parties that third parties couldn't be informed about details of the mediation process, as disclosing certain information could severely damage their reputation and business relationships (current and future).⁶³ The direct addressee of the unfair outcome is the mediation professional community, whose mission is that people should see mediation as an indispensable, effective, and demanded means of resolving disputes.⁶⁴ Statements and offers protected by the Confidentiality Privilege during mediation should be processed in such a way that they shouldn't be disclosed, and in case of damage, should be reimbursed.⁶⁵ Ultimately, the legal consequence of a breach of confidentiality may be the possibility of compensation (redress) by civil proceedings. Breach of confidentiality can cause both moral and property damage. For example, as a result of disclosure of confidential information of party, if its business reputation is damaged, a party may seek redress (compensation/reimbursement).⁶⁶ In some countries, breach of confidentiality leads to more serious consequences, such as imprisonment for up to 6 months and removal from the register of mediators.⁶⁷

62 Tvauro, R., (2015). Standard of Binding by Confidentiality Principle in Mediation Process, Journal "Alternative Dispute Resolution-Yearbook", 26.

63 Bichia, M., (2020). Legal Regime of Confidentiality Protection in the Mediation Process and Its Meaning, Journal "Law and World", 6(2), 194-196. <<https://doi.org/10.36475/6.2.15>>

64 Chitashvili, N., (2016). Fair Settlement as Basis for Ethical Integrity of Mediation Journal "Alternative Dispute Resolution-Yearbook", special edition, 13.

65 Bichia, M., (2020). Legal Regime of Confidentiality Protection in the Mediation Process and Its Meaning, Journal "Law and World", 6(2), 193. <<https://doi.org/10.36475/6.2.15>>

66 Civil Code of Georgia, 26/06/1997, 786, Book I, Section I, Chapter I, Article 18.

67 Dursun, A., (2017). The principle of confidentiality in mediation and the role of confidentiality in commercial mediation, Afro Eurasian studies journal, Vol. 6, Issue 1&2, 23.

6.3. Reality and challenges

The high level of public trust in the mediator contributes to the development of mediation in commercial disputes.⁶⁸ However, when national law sets out a rich list of legitimate grounds for a break of confidentiality, the integration of mediation into commercial disputes is jeopardized. One of the grounds for the break of confidentiality – The obligation to disclose information by another court decision – is a general record. However, according to the principle of confidentiality, the court should only request the disclosure of information directly related to the case and be limited to the materials related to the case. Most importantly, the judge must be able to compare (appreciate) the harm caused by the breach of confidentiality with the benefit of the information presented in court. the limitation (specific proviso) on disclosure to the authorized person or body of confidential information, means that disclosure of information may be done only adequately and proportionate to the legitimate aim. The legitimate aim – to protect the confidentiality of personal information – can be considered as the useful tool, as the definition of the principle of proportionality according to the practice of Georgian justice implies (means): the state should establish a fair balance, in the form that the protected value should exceed the interest of the protection of the limited right.⁶⁹

Under national law, all mediators are required to inform the parties of the legitimate grounds for restricting confidentiality, although publicly held myths about the absolute immunity of mediation may harm the party, manifested by the party's misunderstanding of the information. The mediator must be sure that the mediation parties have made informed decisions.⁷⁰ It is also essential that Paragraph 2 of Article 10 of the Law of Georgia on Mediation obliges participants in mediation to maintain confidentiality. Fear of business entities about disclosure of commercial secrets to third parties during mediation, may be diminished by the existence of le-

68 Chitashvili, N., (2016). Fair Settlement as Basis for Ethical Integrity of Mediation Journal "Alternative Dispute Resolution-Yearbook", special edition, 21.

69 Constitutional Court of Georgia II-28, №3/1/752 Decision on the case "(NNLE)" Green Alternative "v. Parliament of Georgia", 14/12/2018.

70 Brooker, P., (2013). Mediation law journey "through institutionalism to juridification", routledge, Britain, 255.

gitimate grounds for the break of the confidentiality and relative concepts (adequate and proportionate extent). Due to the above mentioned, the national law requires the maximum protection of disclosed information from a third party.

Thus, the principle of confidentiality does not enjoy absolute immunity, and due to the free space of mediation, besides legitimate restrictions, they may be breached as a result of factual circumstances not written in the legislation. Confidentiality may be waived by the parties based on a written agreement, which they certify by signing, and therefore the information disclosed to each other during the mediation process may be used as evidence in court.⁷¹ Nevertheless, this can not be a reason for the parties to ask the mediator to submit records of this information in court. As the scope of the obligation to disclose information is not strictly defined in this context, the mediator should insure himself and destroy after completion of the mediation the materials obtained as a result of the communication. I think a higher standard of confidentiality will emerge by law if the mediator will be obliged to destroy the materials. Also, determination of the information received before the initiation of mediation or from public space as legitimate grounds for the break of confidentiality puts business entities operating in commercial relationships in an unfavorable position. Requesting public information is not a violation of the law, but it is interesting if the mediation process helped one party in the disclosure of the strategic important information of the other party (meaning: What this information should have been and where it should have been found). the record that disclosure of confidential information to the authorized person or body may be done only adequately and proportionate to the legitimate aim can be considered as a useful tool. It should be noted that from 2013 to December 10, 2021, 422 cases were transferred to the Mediation Center of the Tbilisi City Court. According to the statistics of 2021, there are 28 legal disputes related to business disputes; Labor Law – 27 disputes; Also, 33 current loan and microfinance disputes are recorded in the mediation center.⁷² The settlement rate is 60-70%,

and disputes arising from microfinance, labor, commercial, and family relations have particularly successful results.⁷³

CONCLUSION

Justice is the best way to maintain the balance of interests since mediation allows the parties to make a joint voluntary and desirable decision in terms of fairness seen from their perspective.⁷⁴ However, the different perceptions of justice by the parties, which may be associated with victory for any party using all methods, hurt the bona fide party (in good faith party) because it cannot use the information entrusted in the mediation process in court to substantiate own assumptions. Confidentiality is also a kind of hybrid in the legal-philosophical sense. Under national law, protection of information for an indefinite period reminds us of the category of absolute rights, however, the specifics of the relationship of the mediation and the accompanying process (allows individuals to demand from each other to protect information under the principle of confidentiality) are clearly relativistic.

On the one hand, Article 10 of the Law on Mediation allows the disputing parties to waive their confidentiality in writing, though on the other hand, the mediator's obligation how to act in this case is not provided by law. It is important to note the obligation to keep confidentiality for an indefinite period after mediation. In the mediation process, the parties may not be able to evaluate what information may become useless in the future and this in itself may produce problems in the area of confidentiality. This case is directly related to the legitimate basis of the break of confidentiality, in particular, it will not be considered as a breach of confidentiality by the parties involved in mediation if the information is made accessible (disclosed) to the public by other means.

In collective disputes, the right of the Minister of Labor, Health and Social Affairs to receive a report from a mediator comes in collision with the requirement of the normative act to the mediator to keep confidential all information entrusted to him during

71 Adeishvili, Q., (2018)-2019. The Role of the Confidentiality in the Mediation Process, Journal "Alternative Dispute Resolution-Yearbook", special edition, 65.

72 Tbilisi City Court, N2-4118/4363203, 13/12/2021.

73 *Ibid.*

74 Chitashvili, N., (2016). Fair Settlement as Basis for Ethical Integrity of Mediation Journal "Alternative Dispute Resolution-Yearbook", special edition, 9.

the mediation process. In my opinion, in the future, it would be better to add another paragraph to Article 63 of the Labor Code of Georgia, which will clearly define what kind of information/report the mediator is obliged to provide to the Minister of Labor, Health and Social Affairs. It should also be considered to what extent the information obtained during the mediation process should be reflected in the report, so as not to violate the principle of confidentiality. In addition, it is necessary to impose an obligation on the participants in mediation under Paragraph 2 of Article 10 of the Law of Georgia on Mediation (both during the mediation process and after its completion), which is so far only implied in the general rule of confidentiality.

It is also important to analyze three records:

A) a text recorded in the Code of Civil Procedure, according to which a mediator has no right to appear in court as a witness;

B) According to the first paragraph of Article 10 of the Law on Mediation, the parties may, by a written agreement, protect certain information on the principle of confidentiality or refuse it at all;

C) According to Paragraph 2 of Article 10 of the Law on Mediation, information protected by Article 10 may not be used in court.

Any information that the parties in writing agree to disclose will no longer be considered confidential

information. This gives us reason to assume that this information is no longer subject to Article 10 of the Law on Mediation consequently, the use of this information in court will not be considered a breach of confidentiality. Moreover, there is a record in the Code of Civil Procedure that the court will not accept the information received from the mediation process as evidence unless the parties agree in writing about this matter.⁷⁵ However, since this is an assumption, it is better to mention in Paragraph 2 of Article 10 of the Law on Mediation that this rule applies to the information on the confidentiality or disclosure of which the parties have not agreed in an additional written form, although this rule or a different agreement between the parties does not oblige the mediator to disclose the information which he holds.

Ultimately one of the important functions of a mediator for the successful completion of mediation in business disputes is to focus on the interests of the parties and to be able to separate them from the positions of the parties. The mediator should be able to remove the emotional background in the business relationship and transform it into an interest-based mediation process to avoid the breach of the principle of confidentiality.

⁷⁵ Civil Procedure Code of Georgia, 14/11/1997, Book I, Section III, Article 104.

BIBLIOGRAPHY:

Georgian normative material

1. Civil Procedure Code of Georgia, 14/11/1997, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149>> [Last seen: 30 November, 2021]
2. Civil Code of Georgia, 26/06/1997, 786, <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=115>> [Last seen: 7 December, 2021]
3. Law of Georgia on Mediation, 18/09/2019, 4954-ლს, Article 10.
4. The Code of the Rights of the Child, 20/09/2019, 5004-ლს, Article 5.
5. Labour Code of Georgia, 17/12/2010, 4113-ლს.
6. Constitutional Court of Georgia II-60, №3/1/512 Judgment in the case of "Danish citizen Heike Kronkvist v. Parliament of Georgia", 26/06/2012.
7. Explanatory card on the draft law of Georgia on Mediation, registration N07-2/319/9, 2017, 9.
8. Constitutional Court of Georgia II-28, №3/1/752 Decision on the case "(NNLE) " Green Alternative "v. Parliament of Georgia", 14/12/2018.
9. Constitutional Court of Georgia I Panel, №1/4/693,857 Judgment in the case of NNLE "Media Development Fund" and NNLE "Institute for Development of Freedom of Information" against the Parliament of Georgia, 7/06/2019, <https://con->

stcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1268. [Last seen: 7 December, 2021]

10. Tbilisi City Court, Response to Citizen Irina Batiashvili, N2-4118/4363203, 13/12/2021.
11. Tbilisi City Court, N2-4118/4363203, 13/12/2021.

Georgian literature

1. Adeishvili Q., The Role of the Confidentiality in the Mediation Process, Journal "Alternative Dispute Resolution-Yearbook", special edition, 2018-2019, 54, 65.
2. Batiashvili I., The right to life – the white garment of the Constitution, Faculty of Law and International Relations of Georgian Technical University Journal, "Lawyer", N9, 2020, 95.
3. Beridze Q. Divorce, Child and Family Mediation, The Importance of Mediation and Development Perspectives in Georgia, Tb., Ilia state University, 2021, 74.
4. Beradze S., Specificity of Confidentiality Protection in Mediation Process, Journal "Alternative Dispute Resolution-Yearbook", Winning articles in the National Competition for Mediation Articles, 2017, 50.
5. Bichia M., Legal Regime of Confidentiality Protection in the Mediation Process and Its Meaning, Journal "Law and World", 6(2), 2020, 194-196.
6. Bichia M., The Georgian Model of Compensation of Non-property Damage for Violating Personal Rights in Line with European Standards, TSU "Journal of Law", N1, 2017, 16, 23.
7. Bichia M., Bichia M., Methodological Issues of Public Legal Relations, TSU "Journal of Law", N1-2, ობ., (2010), 82, 84, 85-86.
8. Gurieli A., Judge as a mediator, Journal "Law and World", Tb., N11, 2019, 47.
9. Tvauri R., Standard of Binding by Confidentiality Principle in Mediation Process, Journal "Alternative Dispute Resolution-Yearbook", 2015, 27, 28, 31.
10. Todua M., Willems H., Law of Obligation, Tb., Georgian young lawyers, 2006, 7-9.
11. Kalandadze D., The Principle of the Confidentiality in the Mediation Process and Georgian Legislative Reality, Journal "Alternative Dispute Resolution-Yearbook", special edition, 2018-2019, 36, 37.
12. Steven M. Austermiller, Delaine R. Swenson, Alternative dispute resolution Georgia: A textbook of essential concepts, Tb., (2014), 150, 162-163.
13. Supreme Court of Georgia, Practical Recommendations for Judges of Common Courts on Civil Procedure Law, Tb., (2010), 14.
14. Commentary on the Civil Code, Book I, Property Law, Editor-in-Chief: Chanturia L., Tb., (2017), 42, 54-55.
15. Chanturia L., General Part of Civil Law, Tb., Law, 2011, 4-5.
16. Takashvili S., The Importance of Mediation as a Form of Alternative Dispute Resolution in the Process of Collective Labor Dispute Discussion and Settlement, Journal "Alternative Dispute Resolution-Yearbook", 2014, 48.
17. Qatamadze D., Stress identified in the mediation process and ways to reduce it, The Importance of Mediation and Development Perspectives in Georgia, Tb., Ilia state University, 2021, 68-69.
18. Kandashvili I., Judicial and Non-Judicial Forms of Alternative Dispute Resolution on the Example of Mediation in Georgia, Tb., Publishing world of lawyers, 2019, 191-192, 203-204, 103.
19. Chitashvili N., Fair Settlement as Basis for Ethical Integrity of Mediation Journal "Alternative Dispute Resolution-Yearbook", special edition, 2016, 13, 21.
20. Tsuladze A., Comparative Analysis of Georgian Judicial Mediation, Tb., Publishing world of lawyers, 2017, 28, 176-277, 180-183, 84, 86-88, 89, 51-52, 138-140, 161, 142.
21. Kharashvili A., Georgian Business Law Guide and Practical Exercises, Tb., (2019), 95.

Foreign language normative material

1. United Nations General Assembly, Resolution on Model law on international commercial mediation and international settlement agreements resulting from me-

- dation of the united nations commission on international law, Seventy-third session, Distr: General, 3 January 2019, A/RES/73/199. <<https://digitallibrary.un.org/record/1659029?ln=en#record-files-collapse-header>>, [Last seen: 28 November, 2021]. (In English)
2. Resolution of United Nations General Assembly, Model law on international commercial conciliation of the united nations commission on international trade law, Annex model law on international commercial conciliation of the united nations commission on international trade law, fifty-seventh session, distr: General, 24 January 2003, A/RES/57/18, <<https://undocs.org/A/RES/57/18>>, [Last seen: 28 November, 2021]. (In English)
 3. United Nations Office at Vienna, A guide to UNCITRAL (basic facts about the United Nations Commission on International Trade Law), English, Publishing and Library Section, January 2013. (In English)
 4. Erskine White et al v. Susan A. Holton, dba Gabriel Ames Associates, Superior Court No. 927915E, Oct.4, 1993. (In English)

Foreign language literature

1. Brooker P., Mediation law journey "through institutionalism to juridification", routledge, Britain, 2013, 255. (In English)
2. Burge K., Boston Globe, 2002, <https://archive.boston.com/globe/spotlight/abuse/stories2/080602_chancellor.htm> [Last seen: 8 December, 2021]. (In English)
3. Chan Ch. H., Peter Ch., Mediation Operations for Resolving Commercial Disputes in China, Journal "Revista Chilena de Derecho", Vol. 41, N1, 2014, 153. (In English)
4. Dursun A., The principle of confidentiality in mediation and the role of confidentiality in commercial mediation, Afro Eurasian studies journal, Vol. 6, Issue 1&2, 2017, 23. (In English)
5. Freedman L. Prigoffs M., Confidentiality in Mediation: The Need for Protection, Journal on dispute resolution, Vol 2:1, 1986, 37-38. (In English)
6. Gibson K., Confidentiality in mediation: a moral reassessment, Journal of dispute resolution, Vol. 1992, N1, Art.5, 29. (In English)
7. Hadiati M., Tampi M. M., The Benefit Values of Settling Business Disputes by Means of Mediation in Indonesia, In: "Proceedings of the Arbitration and Alternative Dispute Resolution International Conference (ADRIC 2019)", Atlantis Press, 2020, 17-19. (In English)
8. Holzberg R., 10 tips for a successful mediation, Connecticut law tribune, Pullman Comley, 2013, 1-4. (In English)
9. Jerome B., Mediation confidentiality: who, what, where, when, how?, Massachusetts dispute resolution service, <<https://www.mdrs.com/faqs/mdrs-articles/mediation-confidentiality-who-what-where-when-how/>>, [Last seen: 8 December, 2021]. (In English)
10. Kerwin J., "How Mediation Works When Both Parties Agree They Need Help Resolving the Dispute. How does mediation work in a lawsuit or other dispute?, the Program on Negotiation at Harvard Law School, 06/12/2021., <<https://www.pon.harvard.edu/daily/mediation/navigating-the-mediation-process/>>, [Last seen: 7 December, 2021] (In English)
11. Oberman S., Confidentiality in Mediation: an application of the right to privacy, Ohio state journal on dispute resolution, Vol 27:3, 2012, 541, 550-551. (In English)
12. Office of the state courts administrator, Supreme Court of Florida, the Florida dispute resolution center's adr resource handbook, 2020, 25. (In English)
13. Tetunic L. F., Act Deux: Confidentiality Adter the Florida Mediation Confidentiality and Privacy Act, „Nova Law Review“, Volume 36, Issue1, 2011, 83. (In English)
14. Brown K., Confidentiality in mediation: status and implications, Journal of dispute resolution, Vol. 1991,Iss. 2, 319, 315. (In English)
15. Alexander N., Mediation: the new normal?, 4.12. 2020, 245. (In English)
16. State v. Castellano, 460 So. 2d 480 (Fla. Dist. Ct. App. 1984), <<https://casetext.com/case/state-v-castellano>>. [Last seen: 7 December, 2021] (In English)

ქონებრივი დავების გადაწყვეტისას კონფიდენციალობის დაცვის ფარგლები მედიაციაში: რეალობა და გამოწვევები

ირინა ბათიაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინტელექტუალური საკუთრების სამართლის კომიტეტის წევრი

საკვანძო სიტყვები: მედიაცია, კონფიდენციალობა, კონფიდენციალობის დარღვევის ლეგიტიმური საფუძვლები და ბიზნესდავები

შესავალი

მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზა, თანამედროვე მოვლენას არ წარმოადგენს. მას ღრმა ფესვები აქვს ისტორიაში. მედიაციასთან დაკავშირებული ვაშლის გულისა და ქერქის ამბავიც, თითქოს მარტივად აღიქმება, მაგრამ, ამავდროულად, ის კომპლექსური ხასიათის პრობლემას მოიზრებს. საქმე ისაა, რომ მედიაცია ისტორიული, სოციალური, კულტურული და მოდერნისტული აზროვნების განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა. მოდავე მხარეთა ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა, მათი რეალური მოთხოვნების გარკვევა და გაზრდილი სურვილებისა თუ ემოციების გარსის ზედაპირზე წამოტივტივება, კონფიდენციალობის დაცვა და, ამავდროულად, ნეიტრალიტეტის შენარჩუნება – ეს არის ხელოვნება, რომელსაც მედიატორის უნარ-ჩვევები ჰქვია. ბენშამინ ფრანკლინმა თქვა: დრო ფულიაო. ამ ორმა სიტყვამ და კაპიტალისტურმა აზროვნებამ კიდევ უფრო გააღრმავა დავების მოგვარების მარტივი გზების ძიება. სწრაფად, ეფექტურად, ნაკლები ხარჯებითა და მშვიდობიანად,

მაგრამ მიზანმიმართულად ქონებრივი დავების გადაწყვეტის ყველაზე კარგი საშუალებაა მედიაცია. მედიაციის მხარეები დავების მოგვარების არა მხოლოდ სწრაფ გზას, არამედ დაპირისპირებულ ინტერესთა თანხვედრის წერტილებს ეძებენ. მედიაციის შედეგი არაა „წაგება-მოგების“ მიღწევა, არამედ მხარეებს შორის დავის მომგებიანად და, ამავე დროს, მშვიდობიანად გადაწყვეტა.¹ აქედან გამომდინარე, მედიაცია ქმნის მხარეებისთვის შესაძლებლობას, დავის მოგვარების შემდეგაც განაგრძონ საქმიანი ურთიერთობები.²

მედიაციაში კონფიდენციალობის დაცვის ფარგლების როგორც საკანონმდებლო საფუძვლების, ისე პრაქტიკის შესწავლა-სრულ-

- 1 Kerwin, J., (2021). "How Mediation Works When Both Parties Agree They Need Help Resolving the Dispute. How does mediation work in a lawsuit or other dispute?, the Program on Negotiation at Harvard Law School, <<https://www.pon.harvard.edu/daily/mediation/navigating-the-mediation-process/>> [ბოლო წვდომა: 7 დეკემბერი, 2021]
- 2 Hadiati, M., (2020). Tampi, M. M., The Benefit Values of Settling Business Disputes by Means of Mediation in Indonesia, In: "Proceedings of the Arbitration and Alternative Dispute Resolution International Conference (ADRIC 2019)", Atlantis Press, 17-19.

ყოფამ შესაძლოა დახვეწოს კანონმდებლობა, შეამციროს დარღვევების რაოდენობა, საიდუმლო სფეროთა ხელყოფისას შეუწყოს ხელი შემთხვევის იდენტიფიცირებასა და პოზიტიური გავლენა მოახდინოს პრაქტიკაში მხარეთა შორის ქონებრივი დავების ეფექტიანად გადაწყვეტაზე.

1. მედიაცია და ქონებრივი დავები

1.1. კონფიდენციალობის მნიშვნელობა ქონებრივ დავებში

ქონებრივია ურთიერთობა, რომელიც წარმოიშობა სუბიექტებს შორის ქონებრივ სიკეთეებთან დაკავშირებით. არამატერიალური ქონებრივი სიკეთეებია მოთხოვნები და უფლებები.³

რაც შეეხება არაქონებრივ დავას, ის უნდა განიხილებოდეს ქონებრივი დავის საპირისპირო მოვლენად.⁴ ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია პირადი უფლებების ხელყოფის შემთხვევების დროს არამატერიალური ზიანის ანაზღაურება, რომელიც მასტიმულირებელი ხასიათისაა და მიყენებული ზიანის კომპენსატორულ-სატიფიკაციურ ფუნქციებს ასრულებს.⁵ ჩემი მოსაზრებით, მედიატორის როლი ასეთ დავებში მინიმალიზებულია, რადგან ის უფრო ფსიქოლოგიის სივრცეში შეიჭრება და დაკარგავს თვითმიზანს. ქონებრივი დავების ერთ-ერთი სახეა საოჯახო ქონებრივი დავები, რომლებშიც ასევე გამოიკვეთება მედიაციის დადებითი თავისებურებები.⁶ მედიატორს აქვს უფლება, მხარეებთან ერთობლივად ჩანიშნულ შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე

შეხვედეს მათ ცალკე 10-15 წუთით, რომ განმუხტოს სტრესული და ნევროზული გარემო.⁷

ბიზნესი ინგლისური სიტყვაა და მოგების მიღებისკენ მიმართულ საქმიანობას ნიშნავს, რომლის გარემო სამართლებრივი და ეკონომიკური რეგულაციებით დატვირთული სივრცეა. ნებისმიერი სახელმწიფოს ინტერესია შექმნას ისეთი ეფექტური სამართლებრივი ჩარჩო, რომ ბიზნესისთვის მიმზიდველი იყოს.⁸ ბიზნეს სამართალი ცალკე კლასიკური დარგის სახეობა არ არის და რამდენიმე სამართლის დარგს აერთიანებს.

მედიაციის პროცესის პრინციპთაგან დამოუკიდებელ პრინციპად განიხილება კონფიდენციალობა, რომელიც სხვადასხვა სპეციფიკით გვხვდება ქონებრივ და არაქონებრივ დავებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ჯერ დასადგენია კონფიდენციალობის არსი და თავისებურებები, კონფიდენციალურ სფეროთა წრე მედიაციაში, შემდეგ კი – ქონებრივი დავის ცნება, მისი განსხვავება არაქონებრივი დავისგან და ქონებრივი დავების გადაწყვეტის სპეციფიკური ნიშნები მედიაციაში. ესე იგი, უნდა განისაზღვროს მედიაციის სფეროში საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები, განსაკუთრებით კონფიდენციალობის დაცვის კონტექსტში.

ცალკე აღსანიშნავია „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი კონფიდენციალობის პრინციპის შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძვლებისა და მედიატორის მიერ ინფორმაციის გამჟღავნების გამონაკლისი შემთხვევების შესახებ. დასაფიქრებელია, რომ მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ერთ-ერთი მხარის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის მედიაციამდე ფლობის შესაძლებლობასაც არ გამორიცხავს, რაც ავტომატურად კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის ვალდებულებისგან გარკვეულწილად ანთავისუფლებს მხარეს. თუმცა, კანონში არ არის აღნიშნული მედიაციის დაწყების შემდგომ ამ ინფორმაციის გამჟღავნების

3 ჭანტურია, ლ., (2011). სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., სამართალი, 4-5.

4 ბიჭია, მ., 2017. პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, თსუ-ის „სამართლის ჟურნალი“, N1, 16.

5 ბიჭია, მ., (2017). პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, თსუ „სამართლის ჟურნალი“, N1, 23.

6 ბერიძე, ქ., (2021). განქორწინება, ბავშვი და საოჯახო მედიაცია, წიგნში: „მედიაციის მნიშვნელობა და განვითარების პერსპექტივა საქართველოში“, თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 74.

7 ქათამაძე, დ., (2021). მედიაციის პროცესში გამოვლენილი სტრესი და მისი შემცირების გზები, მედიაციის მნიშვნელობა და განვითარების პერსპექტივა საქართველოში, თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 68-69.

8 ხარაიშვილი, ა., (2019). ქართული ბიზნესსამართალი სახელმძღვანელო და პრაქტიკული სავარჯიშოები, თბ., 18.

ვნების უფლება მხარეს ერთმევა თუ არა. როცა საქმე ეხება ქონებრივ დავებზე მედიაციას, უფრო კონკრეტულად მედიაციას ბიზნესისთვის, კონფიდენციალობის პრინციპი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხდება. ნაშრომში კონფიდენციალობის პრინციპის განხილვის დროს შეხვდებით მის სასიცოცხლოდ აუცილებლობის განმამტკიცებელ მიზეზებს:

- ეფექტური მედიაცია მოითხოვს გულწრფელობას;
- მოდავეების მიმართ სამართლიანობა მოითხოვს კონფიდენციალობას;
- შუამავალი როგორც ფაქტობრივად, ისე მხარეების აღქმაში უნდა იყოს ნეიტრალური;
- კონფიდენციალობა ბევრისთვის არის სტიმული აირჩიოს მედიაცია, რომ არ გამოფინონ საჯაროდ „ჭუჭყიანი საცვლები“;
- მედიაციის პროგრამების დაცვის გარანტია გასაჯაროებისგან და შევიწროვებისგან.⁹

ამ მიზეზებმა შესაძლებელია დაგვანახოს ეროვნულ კანონმდებლობაში ლეგიტიმური შეზღუდვების პარალელურად კონფიდენციალობის პრინციპის უკეთესად დაცვის აუცილებლობა.

გარდა ამისა, მედიაციის ინსტიტუტი კიდევ უფრო აქტუალური გახდა პანდემიის დროს, რადგან ინფიცირების თავიდან აცილების მიზნით ადამიანთა შორის ურთიერთობების უმეტესობა, მათ შორის დავის გადაწყვეტა გადავიდა დისტანციურ რეჟიმზე. ეს კიდევ უფრო საინტერესოა მედიაციის პროცესის კონფიდენციალობის დაცვის კუთხით, მით უფრო, როცა ინტერნეტით სარგებლობისას დიდია კერძო ინტერესთა ხელყოფის საფრთხე.

ვფიქრობ, მედიაციის ხასიათი ყველაზე კარგად სწორედ ქონებრივი დავების დროს გამოიხატება. მოცემულ შემთხვევაში მედიატორი იწყებს ნელ-ნელა კვანძების გახსნას, მოზაიკის აწყობას, პრობლემების ჩაღრმავებას, მათ სიბრტყეზე ამოტანას, მხარეების სურვილების გამიჯვნას და მათი ახირებებისგან განცალკევებას. ამის პარალელურად მედიატორი ცდილობს სტრესის განეიტრალებას და

ორივე მხარის მომზადებას იმისათვის, რომ ერთად მივიდნენ კონსენსუსამდე. ზუსტად აქ ნდობის ფაქტორი, რომელიც მხარეებს კონფიდენციალობის ხარისხის არსებობიდან უჩნდებათ, საქმის მორიგებით დასრულების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

1.2. ქონებრივი დავების წრე და მათთვის დამახასიათებელი თავისებურებები

ქონებრივი დავის მატერიალურ-სამართლებრივი შინაარსის მიხედვით, ქონებრივი დავა არის ქონებრივ სიკეთესთან დაკავშირებული დავა, რაც გულისხმობს, რომ დავა არის ფინანსური სარგებლის მიღებაზე ორიენტირებული, მიუხედავად იმისა, ეს სიკეთე მატერიალიზებული თუ არამატერიალიზებული სახით გვევლინება.¹⁰ ქონებრივი დავების წრე შედგება: **საოჯახო, სანივთო, ვალდებულებითი, სახელშეკრულებო, საკორპორაციო, სამეწარმეო-სავაჭრო და სხვა დავებისგან**. ქონებრივია სანივთო და ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობები. სანივთო სამართალი არეგულირებს პირთა სანივთოსამართლებრივ რეჟიმს ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე. მას ახასიათებს უვადობის ნიშანი, ხოლო ვალდებულებითი ურთიერთობა აწესრიგებს პირებს შორის ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა ხელშეკრულებების საფუძველზე და კონკრეტულ პირებს შორის. ამ შემთხვევაში წარმოშობილი მოთხოვნა ეხება ქონებრივ ინტერესს. მაგალითად, ის შეიძლება ნივთის ფლობასთან იყოს დაკავშირებული.¹¹ ბიზნესურთიერთობის წარმოშობის ყველაზე გავრცელებული ფორმად შეიძლება ჩაითვალოს ხელშეკრულება. ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი საერთოა ყველა კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებისთვის.¹²

9 Freedman, L., (1986). Prigoffs M., Confidentiality in Mediation: The Need for Protection, Journal on dispute resolution, Vol 2:1, 37-38.

10 საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2010, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბ., 14.

11 თოდუა, მ., ვილემსი, ჰ., (2006). ვალდებულებითი სამართალი, თბ., საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 7-9.

12 ხარაიშვილი, ა., (2019). ქართული ბიზნესსამართალი სახელმძღვანელო და პრაქტიკული სავარჯიშოები, თბ., (2019), 95.

რაც შეეხება საოჯახო სამართლის წიაღიდან წარმოშობილ დავებს, ამ საკითხს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნის I კარის, მესამე თავი, სადაც აღნიშნულია მეუღლეების უფლებები და მოვალეობები.¹³

2. კონფიდენციალობის არსი და კონფიდენციალურ მონაცემთა წრე

2.1. კონფიდენციალობის არსი და თავისებურებები

მედიაციის პროცესში მედიატორი მხარეებს აცნობს კონფიდენციალობის დაცვის პირობებსა და საფუძვლებს. კონფიდენციალობის ფონზე საქმის მნიშვნელოვანი გარემოებები განიხილება გულდიად და სიღრმისეულად, მხარეები მსჯელობენ და ამხელენ მათთვის საიდუმლო ინფორმაციას, რადგან იციან, რომ მედიაციის დროს გამჟღავნებული ინფორმაცია არ იქნება მათ წინააღმდეგ გამოყენებული.¹⁴ კონფიდენციალობის პრინციპს ახასიათებს თავისებურებები და ეს გამოიხატება მისი შეზღუდვის ფარგლებში. იმისდა მიუხედავად, რომ მედიატორები უმეტესად აკეთებენ ფართო განცხადებებს და ამტკიცებენ, რომ მედიაციაში ყველაფერი კონფიდენციალურია, მედიაციის მარეგულირებელი ნორმები სხვა რეალობას იძლევა. კონფიდენციალობის შეთავაზების ამგვარი მარტივი გზა არ უწყობს ხელს მხარეთა თვითგამორკვევას¹⁵. მხარეთა თვითგამორკვევისთვის აუცილებელია მათ იცოდნენ – თუ რა დოზით გასცენ ინფორმაცია, რა ფორმით იურთიერთონ, ნდობის რა მაშტაბი ქონდეთ. როდესაც უკულებელყოფილია იურიდიული

ინფორმაციის მიწოდება, მხარე არა საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად დგავს ნაბიჯებს, არამედ მოტყუებით. მედიაციაში ინფორმირებული თანხმობა არის ზუსტად თვითგამორკვევის საფუძველი და ამავდროულად ეხება კონფიდენციალობის პრინციპსაც. მიუხედავად იმისა, რომ მედიაცია რეკლამირებულია, როგორც მხარეთა კონფიდენციალობის დაცვა, ის აბსოლუტურ იმუნიტეტს ვერ იძლევა. თუ მხარეთა უმეტესობა ამჯობინებს, რომ ყველაფერი, რაც გამოაშკარავდება მედიაციის პროცესში საიდუმლოდ დარჩეს, მაშინ მედიატორმა საქმის კურსში უნდა ჩააყენოს იმ გამონაკლისი შემთხვევების შესახებ, რომელიც კანონით ავალდებულებს მედიატორს გაამჟღავნოს ინფორმაცია.¹⁶

2.2. კონფიდენციალურ მონაცემთა წრე

კონფიდენციალური ინფორმაციით დაცული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მედიაციის პროცესში გახდა ცნობილი ან თვითონ ამ პროცესმა გამოამჟღავნა. კონფიდენციალობის შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძვლის არსებობის დროსაც კი, ინფორმაცია მაქსიმალურად შეზღუდული მოცულობით უნდა იყოს გამჟღავნებული, რის თაობაზეც შესაბამის მხარეს წინასწარ ეცნობება. ამასთან ერთად ინფორმაცია შეიძლება გამჟღავნდეს მხოლოდ კანონიერი მიზნის ადეკვატური და პროპორციული მოცულობით იმგვარად, რომ ინფორმაციის კონფიდენციალობა მაქსიმალურად იყოს დაცული გარეშე პირებისაგან.¹⁷ ასეთმა შეფასებითმა კომპონენტებმა შესაძლებელია ახალი საფრთხეები წარმოშვას კონფიდენციალობის მაღალი ხარისხით დაცვის მიმართ. საინტერესოა რამდენად სწორია „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტში არსებული ჩანაწერი განუსაზღვრელი ვადით კონფიდენციალობის დაცვის მოვალეობაზე. მედიაციის პროცესში მხარეებმა შეიძლება ვერ გათვალონ სამომავ-

13 საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997, 786, V წიგნი, I კარი, მე-3 თავი, <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=115>> [ბოლო წვდომა: 7 დეკემბერი, 2021]

14 ქათამაძე, დ., (2021). მედიაციის პროცესში გამოვლენილი სტრესი და მისი შემცირების გზები, მედიაციის მნიშვნელობა და განვითარების პერსპექტივა საქართველოში, თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 69.

15 Oberman, S., (2012). Confidentiality in Mediation: an application of the right to privacy, Ohio state journal on dispute resolution, Vol 27:3, 541

16 Oberman, S., (2012). Confidentiality in Mediation: an application of the right to privacy, Ohio state journal on dispute resolution, Vol 27:3, 550-551

17 განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „მედიაციის შესახებ“, რეგისტრაციის N07-2/319/9, 2017, 9.

ვლოდ რა ინფორმაციის შენახვა სურთ და რა ინფორმაცია შეიძლება განზრახ თუ უნებლიედ გასაჯაროვდეს. აქედან გამომდინარე, წინასწარ წერილობით მათი კონფიდენციალურად შენახვის ვადაზე არ შეთანხმდნენ. დროთა განმავლობაში ინფორმაცია, რომელიც აღარ არის კონფიდენციალური ხასიათის შეიძლება თავად ინფორმაციის მფლობელი მხარის ან მედიაში მონაწილე რომელიმე პირის მიერ გასაჯაროვდეს დაუფიქრებლად, ხოლო ამან წარმოშვას თავისთავად პრობლემები კონფიდენციალობის დარღვევის ნაწილში. აქედან გამომდინარე, შეიძლება მართებული იყოს გერმანული მოდელის შესაბამისად, ქართულ კანონმდებლობაშიც ჰპოვოს სამომავლოდ ასახვა ჩანაწერმა: მედიაციის დასრულების შემდგომ, ინფორმაცია, რომლის კონფიდენციალურად შენახვის ლეგიტიმური ინტერესი აღარ არსებობს და ისედაც ყველასთვის ცხადი და დაუფარავია აღარ ექცევა კონფიდენციალობის დაცვის ფარგლებში.

3. კონფიდენციალობის დაცვის მოვალეობით შეზღუდული სუბიექტები

3.1. მხარეები და მხარეების წარმომადგენლები

მხარეებს აქვთ უფლება, თავიანთი შეხედულებისამებრ აირჩონ მედიატორი. მედიაციის ინიციატორ მხარეს შეუძლია წერილობითი მოწვევა გაუგზავნოს მეორე მხარეს მედიაციის გზით დავის გადაწყვეტის თაობაზე.¹⁸ მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს მოწვევა ან უარი თქვას მასზე. მხოლოდ და მხოლოდ ორივე მხარის ნებაყოფლობითი თანხმობის შემდგომ იწყებენ მხარეები წესების დადგენას და მედიატორის შერჩევას. კერძო მედიაციის დროს, მედიაციის შესახებ შეთანხმების დადების შემთხვევაში, კონფიდენციალობის პრინციპი ბოჭავს მხოლოდ ხელშეკრულებაზე ხელმოწერ პირებს, აქედან გამომდინარე, უმჯობესია მხარეებთან, წარმომადგენლებსა და მედიატორთან ერთად ხელშეკრულებას

ხელი მოაწერონ მესამე პირებმაც, რომლებიც ჩართულნი იქნებიან მედიაციის პროცესში.¹⁹ აუცილებელია აღინიშნოს, რომ მოდავე მხარეები ერთმანეთის მიმართ უნდა იყვნენ საინტერესონი, ჰქონდეთ პოზიციები, რომლების გაზიარება და შეჯერება ორივე მხარის ინტერესშია. ეს დაეხმარება მედიატორს დღის წესრიგის დაგეგმვაში და მედიაციის პროცესის ეფექტურად წარმართვაში. მხარეები ასევე, უნდა დაუკვირდნენ მედიაციის განცალკევებულ მათ ურთიერთობებს, თუ ეს ურთიერთობები ისევ გრძელდება.²⁰ წარმომადგენელმა, მხარესთან ერთად, უნდა შეარჩიოს საქმისთვის შესაბამისი უნარ-ჩვევების მედიატორი. ასევე, მხარეების წარმომადგენლებს უნდა შეეძლოთ: ა) მედიაციის პროცესში გაუფერებულ პირობებზე მუშაობა; ბ) შეთანხმების აქტის შედგენა და სამართლებრივად განმარტვა; გ) მედიაციის შეწყვეტა მისი არაეფექტურობის და უპერსპექტივობის შემთხვევაში.²¹

3.2. მედიატორი, მესამე პირები

მედიატორის კომპეტენციის შესაბამისობა საუკეთესო სტანდარტებთან არ არის საკმარისი მედიაციის წარმატებულად მართვისათვის, აუცილებელია მედიატორს განვითარებული ქონდეს გარკვეული უნარ-ჩვევები, მაგალითად: ალტერნატიული გზების ძიების უნარი, შეკითხვების საფუძველზე საჭირო ინფორმაციების მიღების უნარი, ნეიტრალური მესამე პირის სტატუსის ქვეშ აუცილებელი საკითხების წამოჭრის უნარი.²² მედიატორს შეუძლია გამოიყენოს პერიფრაზირების საშუალება, რაც მისცემს შესაძლებლობას, მხარეებს სხვა რაკურსით დაანახოს სიტუაცია ან ფაქტები და შედეგად მხარეებს შეეცვალოთ ქცევის მანერა. პერიფრაზირების მიზანია: აგრესიული გარემოს ტრანსფორმი-

18 ოსტერმილერი მ. ს., სვენსონი დ. რ., (2014), დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, (საბაზისო სახელმძღვანელო), თბ., პერიდიანი, 150.

19 Erskine White et al v. Susan A. HOLTON, dba Gabriel Ames Associates, Superior Court No. 927915E, Oct.4, 1993.

20 ყანდაშვილი ი., (2019), საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, თბ., იურისტების სამყარო, 191-192.

21 იქვე, 203-204.

22 გურიელი, ა., მოსამართლე როგორც მედიატორი, „სამართალი და მსოფლიო“, N11, 2019, 47.

რება მეგობრულ სიტუაციადა და მცდელობა მხარეები პოზიციონირების ეტაპიდან გადავიდნენ საკუთარი ინტერესების წარმოჩენაზე. ძლიერი ემოციური ფონის არსებობისას, მხარეებს ხანდახან პრობლემა ან პრეტენზია მიუღებელი და აბსოლუტურად მოუგვარებადი ჰგონიათ, აქაც მედიატორს შეუძლია პრეტენზიის ფორმულირების შეცვლით, მხარეს დაანახოს, რომ ეს პრობლემა მოგვარებადია, თუ მისი სურვილი იქნება.²³ გერმანული სამართლის მიხედვით, მედიაციაში მხარეების და მედიატორის გარდა შეიძლება მონაწილეობდნენ მესამე პირები, მაგალითად მედიატორის თანაშემწეები, რომელთაც აქვთ ვალდებულება არ გაამჟღავნონ მედიაციის პროცესში გამხელილი ინფორმაცია, თუმცა მხარეების თანხმობით მესამე პირებად ჩართული ექსპერტები ან მეზობლები არ არიან შეზღუდული ამ ვალდებულებით.²⁴ ქართული კანონმდებლობით მედიაციაში მონაწილეებს ეკრძალებათ სასამართლოზე მედიაციის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება. ესე იგი უნდა ვივარაუდოთ, რომ მესამე პირებზეც მოქმედებს ზოგადი წესი: მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია. აქედან გამომდინარე, ლოგიკურად მათ ინფორმაციის გამჟღავნების უფლება არ უნდა ქონდეთ. თუმცა, ამ საკითხზე კონკრეტულ ჩანაწერს მედიაციის შესახებ კანონში ვერ ვნახავთ. ასევე, ბუნდოვანია მედიაციის დასრულების შემდგომ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებაში მედიატორსა და მხარეების მოხსენიებით მესამე პირებიც არის თუ არა საქართველოს კანონის „მედიაციის შესახებ“ მე-10 მუხლის მე-7 პუნქტში ნაგულისხმები და ეს აშკარად პრობლემას წარმოშობს. ჩემი მოსაზრებით, უმჯობესია აღნიშნულ პუნქტის ჩანაწერში მესამე პირებიც გათვალისწინებული იყოს. მითუმეტეს, რომ მესამე პირად შრომით დაგვებში შეიძლება მოიაზრებოდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი. მინისტრს კი კოლექტი-

ურ დაგვებზე დანიშნული მედიაციის დროს საკმაოდ ფართო უფლებამოსილება აქვს.

4. ბიზნეს მედიაცია და საერთაშორისო აქტივობა 4.1. მედიაციის წარმატებით დასრულების შესახებ რეკომენდაციები

როცა საუბარი ეხება ბიზნესმედიაციას, ეფექტური მედიაციის ნაირსახეობად შეიძლება ჩაითვალოს ინტერესებზე დაფუძნებული ვაჭრობის ტიპის შუამავლობა. ინსტიტუციური კომერციული მედიაცია არის სასამართლოს გარეშე კერძო მედიაციის პროცესი, რომელიც შეესაბამება თანამედროვე მედიაციისთვის ჩვეულ მახასიათებლებს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ის ნაკლებად გამოიყენება უცხოური საწარმოების მიერ.²⁵ საგულისხმოა ბიზნესმედიაციის წარმატებით დასრულების რეკომენდაციები:

- მედიაციის პროცესის კრეატიულობა, (ექსპერტების მოწვევა მხარეების თანდასწრებით);
- მედიაციაში ცოტა ხალისის შეტანა. მედიაციის პროცესში უმეტესწილად დაძაბული და ემოციური ფონი ქარბობს, მით უმეტეს, დამლფელია, როცა ეს პროცესი საათობით გრძელდება. აქედან გამომდინარე, ცოტა იუმორი და სიცილი წაადგება მედიაციის პროცესს;
- მოთმინება, მოდავე მხარეების პრობლემების ყურადღებით მოსმენა. შეთავაზება-მოთხოვნის ტემპი შეიძლება სიტუაციის უარესად დაძაბვის საფუძველი გახდეს, ამიტომაც უმჯობესია, როდესაც მხარეები აგრძელებენ პროდუქტიულ დისკუსიას;
- საქმის რეალისტურად შეფასება და მოქნილობა;
- მედიაცია არ არის სასამართლო პროცესი. დაგვებს ერთმანეთისგან საკითხის სირთულე განასხვავებს. შეიძლება მცირედი იქნეს მოგებული და უფრო მეტი დაკარგული, ვიდრე ეს სასამართლოს

23 ოსტერმილერი, მ. ს., სვენსონი, დ. რ., (2014). დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, (საბაზისო სახელმძღვანელო), თბ., პერიდიანი, 162-163.

24 თვაური, რ., (2015). კონფიდენციალობის პრინციპით ბოჭვის სტანდარტი მედიაციის პროცესში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული“, 31.

25 Chan, Ch. H., Peter, Ch., (2014). Mediation Operations for Resolving Commercial Disputes in China, Journal "Revista Chilena de Derecho", Vol. 41, N1, 153.

საშუალებით იქნებოდა შესაძლებელი. მედიაციის მიზანია კომპრომისის მოძებნა და არა გამარჯვების მოპოვება;

- კლიენტზე მორგებული პროცესის დიზაინის შექმნა. თუ ბიზნეს დავაში ბევრი მხარეა, დაყავით სეგმენტებად. აუცილებელია ყველა მხარის მოსმენა ცალ-ცალკე, თუ ემოციური ფონი ჭარბობს;
- მიზნების იდენტიფიცირება – მედიატორს უნდა შეეძლოს დახმარება გაუწიოს მხარის წარმომადგენელს ან თავად მხარეს დავის შეთანხმებით დასრულების ვარიანტების ფართო სპექტრის დაგეგმვაში და მოგვარების გზების დანახვაში, ასევე, მედიაციის მიმდინარეობისას წინასწარ შედეგების განსაზღვრაში.²⁶

2020 წელს კოვიდ-19-ის პანდემიამ მთელი მსოფლიო ჩიხში შეიყვანა, უამრავი კომერციული ურთიერთობები შეჩერდა მხარეების ბრალეულობის გარეშე, აქედან გამომდინარე, მთელი მსოფლიოს სასამართლოები ემზადებიან პანდემიის შედეგად წარმოქმნილი იურიდიული საქმეების ცუნამისთვის, ხოლო ბიზნესისთვის მთავარია გადაურჩეს ამ გლობალურ ეკონომიკურ ვარდნას, რაც დამოკიდებული იქნება დავების დროულ და კომერციულად გონივრულ გადაწყვეტაზე, ამის ეფექტურ ინსტრუმენტად კი მედიაცია შეიძლება ჩავთვალოთ.²⁷

ონლაინ მოსმენების ჩატარების დეტალური პროტოკოლები თითქმის უნივერსალურად იქნა შემუშავებული როგორც სასამართლოების, ასევე საარბიტრაჟო ინსტიტუტების მიერ, რომლებიც ფოკუსირებულია სამართლიანობაზე, ეფექტურობაზე, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებაზე, კონფიდენციალობაზე და კიბერუსაფრთხოებაზე. ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ „Covid-19 პანდემიის გლობალური გავლენა კომერციული დავების გადაწყვეტაზე პირველ წელს“ სტატიისთვის გამოკითხულ იურისდიქციებში პანდემიის საპასუხოდ მიღებული კანონმდებლობა ძირითადად ორიენტირებულია საზო-

გადოებრივ ჯანმრთელობაზე.²⁸ პანდემიის პერიოდში ბევრი დაინტერესებული მხარე სულ უფრო მეტად იყენებდა როგორც, ინოვაციურ ციფრულ ტექნოლოგიას, ასევე, დაგეგმარების და ხარჯების მოქნილობას. ინოვაციური ციფრული ტექნოლოგია, რომელიც გამოიყენება დავების გადაწყვეტისთვის, მოიცავს დოკუმენტების მართვას, ბლოკჩეინს და ვიზუალური აღქმის ინსტრუმენტებს (სახის ამოცნობის ტექნოლოგიების, რადარის, სინათლის გამოვლენისა და დიაპაზონის (LIDAR) და ულტრაბგერითი სენსორების ჩათვლით).²⁹

4.2. მედიაციის კონფიდენციალობის და ავტონომიის საკითხი უნსიტრალის მოდელური კანონის მიხედვით

საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის, ასევე, საერთაშორისო ვაჭრობის მოდერნიზებისა და უნიფიცირების მიზნით შეიქმნა საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია – უნსიტრალი.³⁰ უნსიტრალი, თავისი მანდატის შესაბამისად, ასრულებს მნიშვნელოვან როლს ამ ჩარჩოს შემუშავებაში, რათა გაგრძელდეს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის პროგრესული ჰარმონიზაცია და მოდერნიზაცია საკანონმდებლო და არასაკანონმდებლო ინსტრუმენტების გამოყენებით.³¹ 2018 წელს გაეროს გენერალურმა ანსამბლემ მიიღო რეზოლუცია, სადაც ხაზი გაუსვა მედი-

26 Holzberg, R., (2013). 10 tips for a successful mediation, Connecticut law tribune, Pullman&Comley, 1-4.

27 Alexander, N., (2020). Mediation: the new normal? 245, <<http://dx.doi.org/10.2139/ssrn.3742561>>.

28 Rooney, K., (2021). International Bar association, The Global Impact of the Covid-19 Pandemic on Commercial Dispute Resolution in the First Year, introduction, <<https://www.ibanet.org/global-impact-covid-19-pandemic-dispute-resolution>> [ბოლო წვდომა: 7 დეკემბერი, 2021].

29 Rooney, K., (2021). International Bar association, The Global Impact of the Covid-19 Pandemic on Commercial Dispute Resolution in the First Year, introduction, <<https://www.ibanet.org/global-impact-covid-19-pandemic-dispute-resolution>> [ბოლო წვდომა: 7 დეკემბერი, 2021].

30 წულაძე, ა., (2017). ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი, თბ., იურისტების სამყარო, 51-52.

31 United Nations Office at Vienna, A guide to UNCITRAL (basic facts about the United Nations Commission on International Trade Law), English, Publishing and Library Section, January 2013.

აციის მნიშვნელობას.³² გაეროს ანსამბლეს რეზოლუციაში მოდელური კანონის შესახებ, აღნიშნულია, მედიაციის სასარგებლო მხარეები, რომელიც დაკავშირებულია მართლმსაჯულების განტვირთვასთან, დაძაბულობის აღმოფხვრასთან და სასამართლო დავისგან განსხვავებით კომერციული ურთიერთობების გაგრძელების შანსთან. საერთაშორისო სავაჭრო კონსილიაციის შესახებ მოდელური კანონის პირველი მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, მომრიგებელი ეხმარება მოდავე მხარეებს დავა გადაწყვიტონ მეგობრულად, თუმცა მას არ აქვს უფლება აღნიშნული მოითხოვოს მხარეებისგან. საყურადღებოა მოდელური კანონის მე-8 და მე-9 მუხლები. მე-8 მუხლი არეგულირებს კონკრეტულად მხარის მიერ მიწოდებულ ინფორმაციის გამჟღავნების საკითხს, რომლის თანახმად როდესაც მედიატორი/მომრიგებელი ერთ-ერთი მხარისგან დავის შესახებ იღებს ინფორმაციას, მას აქვს უფლება ამ ინფორმაციის არსი გაამჟღავნოს მორიგების ნებისმიერი სხვა მხარისთვის. თუმცა, როდესაც მხარე მომრიგებელს/მედიატორს კონფიდენციალობის პირობის დათქმით რაიმე ინფორმაციას აწვდის, ეს ინფორმაცია მედიაციაში მონაწილე სხვა მხარესთან არ უნდა გამჟღავნდეს.³³ მე-9 მუხლი არეგულირებს ზოგადად კონფიდენციალობის საკითხს რომლის თანახმად, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან, კონსილიაციასთან/მედიაციასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია კონფიდენციალური უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამჟღავნების ვალდებულება დადგენილია კანონით ან აუცილებელია მორიგების აღსრულების მიზნისთვის.³⁴ ამგვარად

აშკარა პატარა განსხვავება გვხვდება დავის არსის გამჟღავნების და ზოგადად კონფიდენციალობის პრინციპით დაცულ ინფორმაციას შორის.

5. კონფიდენციალობის დარღვევის ლეგიტიმური საფუძვლები

5.1. კონფიდენციალობა – რელატიური თუ აბსოლუტური სიკეთე?

სამოქალაქო უფლება სამოქალაქო კანონმდებლობით მინიჭებული ძალაუფლებაა, რომ დაცულ იქნეს კერძო პირთა ინტერესები.³⁵ კონფიდენციალობის დაცვის უფლებაც სუბიექტის უფლებაა, მაგრამ იმისათვის, რომ დადგინდეს მისი ხასიათი, აუცილებელია აბსოლუტური და რელატიური კატეგორიების განხილვა. ფილოსოფიური დისციპლინის ონტოლოგიის ფუნდამენტურ კატეგორიებად ითვლება აბსოლუტურისა და რელატიურის კატეგორიები. აბსოლუტური თავის თავში მოიაზრებს მარადიულობას, სხვა მოვლენისგან დამოუკიდებელ არსებობას. რაც შეეხება რელატიურობას, მას სიტყვა „შეფარდებითი“ შეესატყვისება. ონტოლოგიური აზრით, რელატიურობა განიმარტება, როგორც სხვაზე დამოკიდებული. შესაბამისად, რელატიურ მოვლენას დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია. ფაქტობრივად სწორედ ეს ფილოსოფიური საწყისებია რელატიურ და აბსოლუტურ უფლებაში ასახული. რელატიური უფლების მახასიათებელია ის, რომ კონკრეტულ პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა. მაგალითად, მას საფუძვლად უდევს ხელშეკრულება.³⁶ აბსოლუტურ უფლებებს მიეკუთვნება პირადი უფლებები და ასევე არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე ბატო-

32 United Nations General Assembly, Resolution on Model law on international commercial mediation and international settlement agreements resulting from mediation of the united nations commission on international law, Seventy-third session, Distr: General, 3 January 2019, A/RES/73/199.

33 Resolution of United Nations General Assembly, Model law on international commercial conciliation of the united nations commission on international trade law, Annex model law on international commercial conciliation of the united nations commission on international trade law, fifty-seventh session, distr: General, 24 January 2003, A/RES/57/18, article 6. <<https://undocs.org/A/RES/57/18>> [ბოლო წვდომა: 28 ნოემბერი, 2021].

34 Resolution of United Nations General Assembly, Model law on international commercial conciliation of the unit-

ed nations commission on international trade law, Annex model law on international commercial conciliation of the united nations commission on international trade law, fifty-seventh session, distr: General, 24 January 2003, A/RES/57/18, article 9.

35 რედაქტორი ლადო ჭანტურია, 2017. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, კარი პირველი, თბ., 54-55.

36 ბიჭია, მ., (2010). სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მეთოდოლოგიური საკითხები, თსუ-ის „სამართლის ჟურნალი“, N1-2, 85-86.

ნობის იგივე საკუთრების უფლება, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, ხოლო, რელატიურ უფლებებს მიეკუთვნება მოთხოვნები და აღმჭურველი უფლებები.³⁷ მოთხოვნები და აღმჭურველი უფლებები სახელშეკრულებო ურთიერთობებში ხშირად გვხვდება და ეკონომიკური სივრცის განუყოფელი ნაწილია. ამ კუთხით, კონფიდენციალობა მოდავე მხარეების ურთიერთობაზე ცალმხრივად ზემოქმედების საშუალებაა და ის კონკრეტული სიტუაციიდან, კერძოდ, კონფიდენციალობის შეთანხმების ფარგლებში რელატიურ მოთხოვნის უფლებას წარმოშობს, მაგრამ, მეორე მხრივ, კონფიდენციალობას, როგორც აბსოლუტურ სიკეთეს არ გააჩნია ხანდაზმულობის ვადა ეროვნული კანონმდებლობით, ნებისმიერი ინფორმაცია მედიაციის პროცესში განდობილი განუსაზღვრელი დროით ექვემდებარება დაცვას.

5.2. კონფიდენციალობის დარღვევის ლეგიტიმური საფუძვლები

ა. სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან არასრულწლოვანი საუკეთესო ინტერესების დაცვა

სიცოცხლე ადამიანის უზენაესი ღირებულებაა, რომლისგანაც გამომდინარეობს თავისუფლება, ადამიანის გონებრივი განვითარება და ადამიანური ბედნიერება. სიცოცხლის უფლება თავად ადამიანის ბუნებრივ არსებობას იცავს და ამავედროულად სხვა ადამიანური სიკეთეებით სარგებლობის წინაპირობას ქმნის.³⁸ მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის ბეჭედ დასმული ინფორმაციის გამჟღავნებას შეიძლება გარკვეულ შემთხვევებში სამართლებრივ-ლეგიტიმური გამართლება ქონდეს.³⁹ საქართველოს კა-

ნონი „მედიაციის შესახებ“ კონფიდენციალობის დარღვევას გამართლებულად ცნობს, თუ მისი მიზანია სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვა. მიზანი უნდა იყოს აშკარა, ამ სიკეთების დაცვა იმ მომენტისთვის (ანმყოფი) უნდა იყოს საჭირო, საფრთხე უნდა იყოს რეალური და არა ჰიპოთეტური. ლეგიტიმური საჭარო მიზნის მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ლეგიტიმური საჭარო მიზნის არარსებობის დროს ნებისმიერი ჩარევა ადამიანის უფლებაში თვითნებურ ხასიათს ატარებს.⁴⁰

რაც შეეხება არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვას, მედიაციის პროცესში წარმოებული კომუნიკაცია ვერ მოექცევა პრივილეგიის საფარქვეშ, თუ ეს ეხება ბავშვის/მოზარდის დაცვას. ყურადღება უნდა გამახვილდეს, მედიაციის უნიფიცირებულ აქტზე, რომლის თანახმად, მიუხედავად გამონაკლისებისა რის საფუძველზეც მედიატორი ვალდებულია, უარი თქვას კონფიდენციალობის პრივილეგიაზე, მედიატორი უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ სადავო საკითხზე მოდავე პირებს შორის მედიაციის პროცესის ჩატარების, დასრულების, მასში მხარეთა მონაწილეობის და მორიგების შესახებ მშრალი ინფორმაციის გაცემით იმ ორგანოებისთვის, რომლებმაც შეიძლება ამ მოდავე მხარეებს შორის არსებული დავის ბედი გადაწყვიტონ.⁴¹ საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას და შეფასებისას მხედველობაში მიიღება ოჯახურ გარემოში მისი განვითარების უფლების რეალიზება, სოციალური მახასიათებლები, მისი მოსაზრებები, თანასწორობის და ძალადობისგან დაცვის უზრუნველყოფა.⁴² საინტერესოა, თუ როგორ არის დაცული ბავშვის და ასევე, მშო-

37 რედაქტორი ლადო ჭანტურია, 2017. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, კარი პირველი, თბ., 54-55.

38 ბათიაშვილი, ი., (2020). სიცოცხლის უფლება – კონსტიტუციის თეთრი სამოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლის და საერთაშორისო ურთერთობების ფაკულტეტის ჟურნალი „იურისტი“, N9, 95.

39 Gibson, K., (1992). Confidentiality in mediation: a moral reassessment, Journal of dispute resolution, Vol., N1, Art.5, 29.

40 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, I კოლეგია, გადაწყვეტილება N1/4/693,857 საქმეზე ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 7/06/2019, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1268>> [ბოლო წვდომა: 7 დეკემბერი, 2021].

41 წულაძე ა., (2017). ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი, თბ., იურისტების საშემკარო, 142.

42 საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, 20/09/2019, 5004-1ს, მე-5 მუხლი.

ბლის ინტერესები ფლორიდის შტატის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ცენტრის ოფიციალურ სახელმძღვანელოში, რომლის თანახმად, დავის ალტერნატიულად გადაწყვეტის პროცესში ბავშვის, ბავშვის მშობლების ან ბავშვის კეთილდღეობაზე პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებების დასაცავად, ჯანმრთელობის დეპარტამენტის მიერ კონფიდენციალურად დაცულია ჩანაწერები და მოხსენებები ბავშვის მითვების ან ბავშვზე ძალადობის შესახებ, ასეთი ტიპის ინფორმაციის გამჟღავნება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ნებართვის საფუძველზე და მხოლოდ კანონით განსაზღვრული სუბიექტებისთვის.⁴³

ბ. სამედიაციო მორიგების დასადასტურებლად; ნებაყოფლობით შესასრულებლად ან იძულებით აღსასრულებლად

კონფიდენციალობის დარღვევის ლეგიტიმური საფუძველები – სამედიაციო მორიგების დასადასტურებლად, ნებაყოფლობით ან იძულებით შესასრულებლად, სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე სხვა გადაწყვეტილების საფუძველზე – აშკარად დაგვანახებს, რომ ყველა კონფიდენციალური კომუნიკაცია არ არის პრივილეგიით დაცული, ხოლო ყველა პრივილეგირებული ინფორმაცია არის კონფიდენციალური.⁴⁴ თუმცა, პრივილეგია და კონფიდენციალობა არ არის აბსოლუტური ხასიათის სიკეთეები და გამონაკლისების არსებობა მიმართულია საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსის უზრუნველსაყოფად.⁴⁵ კონფიდენციალობა მედიაციაში უსაფრთხო გარემოს ერთ-ერთი წინაპირობაა, როგორც მხარეებისთვის ასევე, მედიატორისთვის. თუმცა, ეს კონკრეტული გამონაკლისი „ბლანკეტური“ წესი, რაც მედიატორს ავალდებულებს დაარღვიოს კონფიდენციალობის პრინციპი სამედიაციო მორიგების აღსრულების მიზნით, გარკვეულწილად თავად მედიატო-

რისთვის ქმნის რისკებს. სამედიაციო მორიგების აღსასრულებლად კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების მომენტში მედიატორი არ უნდა გადავიდეს მოწმის პოზიციაში. დღეის მდგომარეობით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმპერატიული ჩანაწერის თანახმად, მედიაციის პროცესში მონაწილე პირი მოწმედ არ შეიძლება გამოცხადებულ და დაკითხულ იქნეს იმ კონფიდენციალურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მედიაციის პროცესში.⁴⁶ ეს ჩანაწერი და „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის თანახმად ინფორმაცია გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება გამჟღავნებულ იქნეს მხოლოდ მიზნის პროპორციულად და ადეკვატურად, ისე რომ მაქსიმალურად დაცული იყოს გასაჯაროებისგან – მედიატორის ნეიტრალობის და მისი პროფესიის დაცვისთვის შექმნილი ფარია.⁴⁷ მედიაციაში კონფიდენციალობის საკითხთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები, ამერიკის შეერთებული შტატების მასაჩუსეტის შტატის სასამართლო გადაწყვეტილებებიდან საინტერესოა, 2002 წელს სააპელაციო სასამართლოს ერთი მოსამართლის სინთია კოჰენის გამოუქვეყნებელი მოსაზრება.⁴⁸ ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მედიატორი პირველი ინსტანციის სასამართლოზე გამოცხადებულ იქნა, იმასთვის რომ დაემოწმებინა მხარეებს შორის შედგა თუ არა შეთანხმება და წარედგინა შესაბამისი მასალები, ხოლო საქმის განმხილველმა მოსამართლემ მედიატორის მოწმედ გამოცხადება გაამყარა არგუმენტით, რომ კონფიდენციალობის პრივილეგიით სარგებლობენ მხარეები და არა მედიატორი. აქედან გამომდინარე, თუ მხარეები უარს ამბობენ კონფიდენციალობით ინფორმაციის დაცვაზე ან მათი ქმედების შედეგად საჭიროა ამ ინფორმაციის გამჟღავნება, მედიატორი ვალდებულია, სასამართლოში მისცეს ჩვე-

43 Office of the state courts administrator, Supreme Court of Florida, the Florida dispute resolution center’s adr resource handbook, 2020, 25.
44 ყანდაშვილი, ი., (2019). საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, თბ., იურისტების სამყარო, 103.
45 ადეიშვილი, ქ., (2018)-2019. კონფიდენციალობის როლი მედიაციის პროცესში, ჟურნალი „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადეული“, სპეციალური გამოცემა, 54.

46 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, 1106, წიგნი I, კარი III, 141-ე მუხლი.
47 საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, 18/09/2019, 4954-ილ, მე-10 მუხლი.
48 Burge K., Boston Globe, 2002, <https://archive.boston.com/globe/spotlight/abuse/stories2/080602_chancellor.htm> [ბოლო წვდომა: 8 დეკემბერი, 2021].

ნება⁴⁹. ეს გადაწყვეტილება მედიატორმა გა-
ასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში და
სააპელაციოს ერთ-ერთმა მოსამართლემ
განმარტა, რომ მხარეები შეთანხმდებიან თუ
არა კონფიდენციალობის დაცვაზე, ეს ვერ
იქნება მიზეზი აიძულონ მედიატორი გამო-
აშკარავოს საჯაროდ მედიაციის პროცესში
წარმოებული კომუნიკაცია. ასეთი იძულებ-
ითი ჩვენება, თუნდაც ის გამოსადეგი იყოს
მოსამართლისთვის გადაწყვეტილების მიღე-
ბისთვის, ეწინააღმდეგება კანონმდებლის გა-
ნზრახვას, რომ დაცულ იქნეს მედიაციის პრო-
ცესი და მედიატორის ნეიტრალურობა. ამის
საპირისპიროდ შეიძლება მოყვანილ იქნეს
თურქეთში იმპლემენტირებული მედიაციის
სამართალი და სამოქალაქო დავების შესახებ
ნორმატიული აქტის მეხუთე მუხლი, რომლის
თანახმად, მედიატორს ანიჭებს უფლებამო-
სილებას გამოვიდეს სასამართლოზე მოწმის
სტატუსით თუ ამასთან დაკავშირებით მხა-
რეების წერილობითი თანხმობა არსებობს.⁵⁰
საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის
თანახმად, წერილობითი შეთანხმების სა-
ფუძველზე ნებისმიერი ინფორმაციის კონფი-
დენციალობის საკითხი შეიძლება მხარეებს
შორის ურთიერთშეთანხმების საგანი გახდეს,
ეს კითხვის ნიშანს ბადებს, მხარეს შესაძლებ-
ლობა ხომ არ ეძლევა მოითხოვოს მედიატო-
რისგან სასამართლოში სამედიაციო მორი-
გების დასადასტურებლად მეტი მოცულობით
ინფორმაცია გაამჟღავნოს. ამასთან ერთად
თუ დავუკვირდებით „მედიაციის შესახებ“ სა-
ქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნ-
ქტს, მედიაციის მონაწილე მხარეებმა კონფი-
დენციალობის მუხლით დაცული ინფორმაცია
არ შეიძლება გამოიყენონ სასამართლოში.
მაგრამ თუ მხარეებს შორის ინფორმაციის
არაკონფიდენციალობის შესახებ წერილობი-
თი შეთანხმება იარსებებს, ინფორმაცია ხომ
ლოგიკურად აღარ იქნება კონფიდენციალო-
ბის მუხლის დაცვის ქვეშ და ამ შემთხვევაში
არის კი შესაძლებელი ასეთი ინფორმაციის

სასამართლოში გამოყენება? ვფიქრობ, ამ
კუთხითაც უმჯობესია ეროვნული კანონმდებ-
ლობის სრულყოფა.

გ. მედიაციის დაწყებამდე ნაკისრი სამა- რთლებრივი ვალდებულების შესრულება (შე- ზღუდულად გამჟღავნება)

მედიაციის დაწყებამდე ნაკისრი სამა-
რთლებრივი ვალდებულების შესასრულებ-
ლად ერთ-ერთმა მხარემ შესაძლებელია
მაქსიმალურად შეზღუდული მოცულობით
გამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მე-
დიაციის მიმდინარეობის პროცესში გახდა
ცნობილი. მედიაციის დაწყებამდე ნაკისრი
ვალდებულება მხარეს შეიძლება ჰქონდეს გა-
რეშე პირის მიმართ, რომელიც მედიაციაში
საერთოდ არ მონაწილეობს. მაგალითად თუ
ბიზნეს სუბიექტი მედიაციის პროცესში გაიგე-
ბს, რომ მიმდინარე წელს სესხის გადაფარვის
შედეგად მომგებიან მდგომარეობაში ჩადგე-
ბა, ვიდრე სესხის ყოველთვიური დაფარვით,
შეუძლია მედიაციის პროცესიდან მიღებული
ეს ინფორმაცია მაქსიმალურად შევიწროე-
ბული სახით გააჟღეროს სხვა პირებთან ან
სესხის გამცემთან (გამსესხებელთან) კონ-
სულტაციისას, რომ შეძლოს ნაკისრი სამა-
რთლებრივი ვალდებულების შესრულება.

დ. ინფორმაციის გამჟღავნების აუცილებ- ლობა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გა- მოძიებისთვის

განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გა-
მოძიებისთვის აუცილებელი კონფიდენცია-
ლობის დარღვევის ერთ-ერთი წინაპირობაა,
მედიაციის პროცესში დანაშაულის შესახებ
ინფორმაციის შემცველი ფაქტების გამოვლენ-
ა.⁵¹ ჩვენი კანონმდებლობის შესაბამისად ამ
დროს ინფორმაცია მაქსიმალურად მწირი
მოცულობით უნდა გამჟღავნებულ იქნეს და
შესაბამის მხარეს წინასწარ უნდა ეცნობოს
აღნიშნულის თაობაზე. სხვა სპეციფიურ დე-
ტალებზე „მედიაციის შესახებ“ საქართველოს
კანონი ყურადღებას არ ამახვილებს, მაგა-
ლითად: უკვე ჩადენილ დანაშაულს, სამო-
მავლოდ დაგეგმილ დანაშაულს თუ ორივეს
გულისხმობს კანონმდებელი. თუ გადავხედა-

49 Jerome B., Mediation confidentiality: who, what, where, when, how?, Massachusetts dispute resolution service, <<https://www.mdrs.com/faqs/mdrs-articles/mediation-confidentiality-who-what-where-when-how/>> [ბოლო წვდომა: 8 დეკემბერი, 2021].

50 Dursun A., (2017), The principle of confidentiality in mediation and the role of confidentiality in commercial mediation, Afro Eurasian studies journal, Vol. 6, Issue 1&2, 23.

51 State v. Castellano, 460 So. 2d 480 (Fla. Dist. Ct. App. 1984), <<https://casetext.com/case/state-v-castellano>>. [ბოლო წვდომა: 7 დეკემბერი, 2021].

ვთ საერთაშორისო პრაქტიკის ნაწილს, კონფიდენციალობა შესაძლებელია დაირღვეს მაშინ თუ სახეზეა დანაშაულის შესახებ ინფორმაციის შემცველი ფაქტები მაგალითად: დანაშაულის დაგეგმვის, მისი ჩადენის ან განხორციელების მცდელობის, კრიმინალური ქმედებების დაფარვის ან ძალადობის არსებობის თავისებურებები.⁵² ამ შეთხვევაში გონივრული ეჭვის არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს კი ნიშნავს, რომ დანაშაულის ნიშნები რეალურად უნდა ჩანდეს გამჟღავნებულ ინფორმაციაში.

ე. მედიაციის დაწყებამდე ან საჭარო სივრციდან მიღებული კონფიდენციალობის პირობით გამჟღავნებული ინფორმაცია

კონფიდენციალობის მიზანია მხარეების ინფორმაციის გაზიარებასთან დაკავშირებული შიში შეამციროს, რომ უკეთესად აღქმადი გახდეს პრობლემა და თავად მხარეებმა შეძლონ პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. თუ არ მოხდება რეალური ინფორმაციების გაცვლა, დაირღვევა კეთილსინდისიერების პრინციპი და საბოლოოდ მედიაცია არ იქნება ეფექტური. თუმცა არსებობს საფრთხე, რომ მედიაციის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში შესაძლებელია მედიაციის პროცესში გამხლეული ინფორმაცია რომელიმე მხარის მიერ ან გასაჭაროვდეს ან ბოროტად იქნეს გამოყენებული, რადგან კონფიდენციალობა არ ეხება ისეთ ინფორმაციას, რომელიც მხარისთვის ცნობილია მედიაციის დაწყებამდე ან შეიძლება მიიღოს სხვა დასაშვები გზით.⁵³ ეს ჩანაწერი კომერციულ ურთიერთობებში მყოფ ბიზნეს სუბიექტებს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. საჭარო ინფორმაციის გამოთხოვა კანონდარღვევას არ წარმოადგენს, თუმცა აქ საყურადღებოა ფაქტი, რამდენად შეუწყო ხელი მედიაციის პროცესმა ერთ-ერთ მხარეს მეორე მხარისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის გამოაშკარავებაში (იგუ-

ლისხმება: რა უნდა ყოფილიყო ეს ინფორმაცია და სად მოეძებნა).

გ. ინფორმაციის გამცემი პირის სამართლებრივი ინტერესის დასაცავად

მედიაციის პროცესიდან წარმოშობილი სამართლებრივი ან სადისციპლინო დავის დროს პირს, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული სამართლებრივი დავა, აძლევს საშუალებას გაამჟღავნოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც შეიძლება საკუთარი ინტერესების დაცვას. მედიაციაში მონაწილე მხარეები ვალდებული არიან კონფიდენციალურად დატოვონ მედიაციის პროცესში გამოვლენილი ინფორმაციები. განასხვავებენ ე.წ. „შიდა“ და „გარე“ კონფიდენციალურ ინფორმაციას. ინფორმაციის შიდა წრეში კონფიდენციალობის დაცვის დროს, ანუ როდესაც ხდება მხარესა და მედიატორს შორის განმარტოებით ინფორმაციის გაცვლა, კონფიდენციალობის დაცვა აკისრია მედიატორს. აქედან გამომდინარე, მედიატორის საქმიანობა შეიძლება დაეფუძნოს (ა) ღია კომუნიკაციის ან (ბ) კონფიდენციალობის მიდგომებს. ღია კომუნიკაციის დროს ინფორმაცია კონფიდენციალობის პრინციპით არის დაცული არა მედიაციის სხვა მონაწილეებისგან, არამედ გარეშე მესამე პირებისგან, ეს კი გულისხმობს, რომ მედიაციაში მონაწილე პირებმა (ექსპერტებმა, მხარეებმა, დამხმარე პერსონალმა), რომელთათვის ცნობილია ეს ინფორმაცია, არ უნდა გაამჟღავნონ განდობილი ინფორმაცია მესამე პირებთან.⁵⁴ მედიაციაში ღია კომუნიკაციის დროს ექსპერტებს შეიძლება გარკვეული დოზით მიეწოდოთ ინფორმაცია, ხოლო თუ მოდავე მხარე აყენებს მედიატორის პასუხისმგებლობას ღია კომუნიკაციაში მონაწილე პირებისთვის შესაბამისი ინფორმაციის გამჟღავნების გამო, მედიატორს საკუთარი პოზიციის დასაბუთებისთვის, შეუძლია ღია კომუნიკაციიდან რელევანტური ინფორმაციის გამჟღავნება მის წინააღმდეგ მიმდინარე დავისას. ამ ფორმით მედიატორს შეეძლება საკუთარი ინტერესების დაცვა.

კონფიდენციალური ინფორმაციის უფლებამოსილი პირისათვის ან ორგანოსათვის

52 Tetunic, L. F., (2011). Act Deux: Confidentiality Adter the Florida Mediation Confidentiality and Privacy Act, „Nova Law Review“, Volume 36, Issue1, 83.

53 ბერაძე ს., (2017). კონფიდენციალობის დაცვის სპეციფიკა მედიაციის პროცესში, „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული“, მედიაციის სტატიათა ეროვნულ კონკურსში გამარჯვებული სტატიები, 50.

54 ბიჭია, მ., (2020). მედიაციის პროცესის კონფიდენციალობის დაცვის სამართლებრივი რეჟიმი და მნიშვნელობა, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, 6(2), 194. <https://doi.org/10.36475/6.2.15>

გამჟღავნება მხოლოდ კანონიერი მიზნის ადეკვატური და პროპორციული მოცულობით უნდა მოხდეს, ისე, რომ მაქსიმალურად იქნეს დაცული აღნიშნული ინფორმაციის კონფიდენციალობა მესამე პირისაგან. თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნა, რომელიც თავის თავში მოიაზრებს პროპორციულობას, გულისხმობს, რომ ნებისმიერი უფლების შემზღვევლი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსაძეგ და აუცილებელ საშუალებას.⁵⁵ დასახული ლეგიტიმური მიზნის – პირადი ხასიათის ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის – გამოსაძეგ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს ჩანაწერი: კანონიერი მიზნის ადეკვატური და პროპორციული მოცულობა.

ზ. სასამართლოს ან სხვა საგაღმართული იურიდიული ძალის მქონე გადაწყვეტილებით ინფორმაციის გამჟღავნება

აღნიშნული საფუძვლით სასამართლოს ეძლევა უფლება, ნებისმიერი კანონიერი მიზნით მოთხოვოს მედიაში მონაწილეებს მედიაციის პროცესში გამხელილი ინფორმაციის გამჟღავნება. ეს წესი კონფიდენციალობის პრინციპის მაღალ სტანდარტს ეჭვქვეშ აყენებს, რადგან მისი ფორმულირება ზოგადი ხასიათისაა. თუმცა, თუ დავყრდნობით ჩვეულებითი სამართლიდან მედიაციის კუთხით არსებულ საერთაშორისო პრაქტიკას, კონფიდენციალობის პრივილეგიის მოთხოვნის დროს სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ ოთხნაწილიანი ტესტის შეფასება, რომლის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტის თანახმად – ზიანი, რომელიც მიადგებათ მხარეებს კომუნიკაციების გამჟღავნების შედეგად, უნდა იყოს უფრო დიდი, ვიდრე გამჟღავნების შედეგად მიღებული სარგებელი სასამართლოსთვის.⁵⁶ აქედან გამომდინარე, ყველა მოსამართლემ უნდა იცოდეს, რომ მედიაციაში კონფიდენციალობის პრინციპის დაცვას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

55 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, II-60, №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონჟვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 26/06/2012.

56 Brown, K., (1991). Confidentiality in mediation: status and implications, Journal of dispute resolution, Vol., Iss. 2, 315.

6. კონფიდენციალობის დაცვის მოვალეობის დარღვევა და მისი იურიდიული შედეგები

6.1. კონფიდენციალობის დარღვევის არსი და გამოვლენის ფორმები

შრომითი ურთიერთობა იწყება დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც თანასწორობისა და ნების თავისუფალი გამოვლენის შესაბამისად იდება.⁵⁷ კონფიდენციალობის პრინციპის არალეგიტიმურად დარღვევის საფრთხე შეიძლება დავინახოთ შრომის კოდექსის ჩანაწერში, რომლის თანახმად, მინისტრს აქვს უფლება მედიატორს მოსთხოვოს დავასთან დაკავშირებული ანგარიშის წარდგენა. მაშინ, როცა ყველა შიდა კომუნიკაცია კონფიდენციალობის ფარის ქვეშ არის, დამსაქმებელი ამ შემთხვევაში ხვდება სიტუაციაში სადაც საფრთხე ექმნება მის კომერციულ საიდუმლოებებს და მის რეპუტაციას. ბიზნეს სუბიექტები ურთიერთობენ და პაექრობენ ერთმანეთში, ამიტომაც მათთვის არსებითია რომ მათი კომერციული საიდუმლოებები არ გასაჯაროვდეს. აქედან გამომდინარე, მინისტრის უფლებამოსილება გამოითხოვოს ანგარიში გარკვეულწილად კოლიზიაში მოდის საქართველოს შრომის კოდექსის 63-ე მუხლის მე-9 პუნქტთან, რომლითაც დაცულია კოლექტიური დავის კონფიდენციალობა და მედიატორს ვალდებულს ხდის არ გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის ამ მედიაციის პროცესში გახდა ცნობილი.⁵⁸ მედიატორმა უნდა შეეცადოს მხარეთა ინტერესები, საჭიროებები გამოკვეთოს და ორივე მხარისთვის აღქმადი გახადოს, ამ მიზნით მხარეებთან განცალკევებული შეხვედრები დგება. განცალკევებული შეხვედრების ერთ-ერთი ამოცანა შეიძლება იყოს შეთავაზების გაკეთების ორგანიზება, კერძოდ,

57 ტაკაშვილი, ს., (2014). მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიულად გადაწყვეტის ფორმის, მნიშვნელობა კოლექტიური შრომითი დავის განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული“, 48.

58 საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს შრომის კოდექსი, 17/12/2010, 4113-რს, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=21>> [ბოლო წვდომა: 8 დეკემბერი, 2021].

კი, განცალკევებული შეხვედრის შემდგომ მედიატორი მეორე მხარეს აცნობებს ინფორმაციას ან შეთავაზებას.⁵⁹ ამ მომენტში, საფრთხის ქვეშ დგება შიდა კონფიდენციალობის სტანდარტი, რადგან მედიატორის მიერ მეორე მხარისთვის ინფორმაციის გაზიარებისას შეიძლება დაუფიქრებლად და არამიზანმიმართულად რომელიმე მხარის სტრატეგიული და საკვანძო ინფორმაციის გადაცემა მოხდეს. მხარის მიერ მეორე მხარისთვის სპეციალურად არასწორი ფაქტების განდობა, რა თქმა უნდა, ართულებს დავას და კითხვას ბადებს, ზოგადად ყალბი ინფორმაცია ექცევა თუ არა მედიაციის კონფიდენციალობის დაცვის ქვეშ? თუ მიყვებით ზოგად წესს, მედიაციაში განდობილი ყველა ინფორმაცია კონფიდენციალობის დაცვით სარგებლობს, თუმცა არის მოსაზრება ეთიკურ ვალდებულებასთან დაკავშირებით, რომ თუ მხარისთვის ცნობილია მეორე მხარის მიერ განდობილი ინფორმაციის სიყალბის თაობაზე, ეს ინფორმაცია არ ექცევა კონფიდენციალობის დაცვის ქვეშ.⁶⁰ ამისდა მიუხედავად, არაკეთილსინდისიერი მოდავე მხარის სასამართლოზე გამოაშკარავების მიზეზით მედიაციის პროცესში საიდუმლო ინფორმაციის გასაჯაროება, ვერ ჩაითვლება კონფიდენციალობის დარღვევის ლეგიტიმურ საფუძვლად დღეის მდგომარეობით არსებული ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით.⁶¹

6.2. კონფიდენციალობის დარღვევის იურიდიული შედეგები

მედიაციის პროცესი, რომ წარმატებულად ჩატარდეს აუცილებელია, რომ მხარეები „გაიხსნან“, რაც გამომდინარეობს მედიაციის არაფორმალური ხასიათიდან, რომელიც მხარეებს აძლევს საშუალებას თავისუფლად

ისაუბრონ ფაქტების, ინტერესების, ემოციებს და შესაძლებლობების შესახებ.⁶² ბიზნეს სუბიექტებს შორის მედიაციის დროს ორივე მხარემ შეიძლება საიდუმლო და მათთვის პოტენციურად საფრთხის შემცველი არასახარბიელო ინფორმაცია გაამჟღავნონ იმ იმედით, რომ ეს ინფორმაცია აბსოლუტურად კონფიდენციალური დარჩება. ისეთი ტიპის კომერციული დავების დროს, როცა დავა მიმდინარეობს განსაკუთრებით დიდ თანხებზე, ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანია მესამე პირისთვის არ გახდეს ცნობილი მედიაციის პროცესის დეტალები, რადგან შეიძლება გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნებამ მათ რეპუტაციას და საქმიან ურთიერთობებს (ანმყოში არსებულს და სამომავლო საქმიან ურთიერთობებს) დიდი ზიანი მიაყენოს.⁶³ არასამართლიანი შედეგის პირდაპირი ადრესატი მედიაციის პროფესიული საზოგადოებაა, რომლის ამოცანაა ადამიანებში მედიაცია დანახულ იქნეს როგორც დავის გადაწყვეტის მოთხოვნადი და ეფექტური საშუალება.⁶⁴ მედიაციის დროს კონფიდენციალობის პრივილეგიით დაცული განცხადებები და შეთავაზებები უნდა იქნეს ისე გადამუშავებული, რომ არ მოხდეს მათი გამჟღავნება, ხოლო ზიანის მიყენებისას ის უნდა ანაზღაურდეს.⁶⁵ საბოლოო ჯამში კონფიდენციალობის დარღვევის იურიდიულ შედეგში შეიძლება ვიგულისხმოთ სამოქალაქო წესით ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა. კონფიდენციალობის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს როგორც მორალური ზიანი, ასევე, ქონებრივი ზიანი. მაგალითად, კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების შედეგად თუკი ხელყოფილია მისი საქმიანი რეპუტაცია, მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიან-

59 თვაური რ., (2015), კონფიდენციალობის პრინციპით ბოჭვის სტანდარტი მედიაციის პროცესში, ჟურნალი „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადეული“, 27.

60 კალანდაძე, დ., (2018)-2019. კონფიდენციალობის პრინციპი მედიაციის პროცესში და ქართული საკანონმდებლო რეალობა, ჟურნალი „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადეული“, სპეციალური გამოცემა, 36.

61 იქვე, 28.

62 თვაური, რ., (2015). კონფიდენციალობის პრინციპით ბოჭვის სტანდარტი მედიაციის პროცესში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადეული“, 26.

63 ბიჭია, მ., (2020). მედიაციის პროცესის კონფიდენციალობის დაცვის სამართლებრივი რეჟიმი და მნიშვნელობა, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, 6(2), 196-197. <https://doi.org/10.36475/6.2.15>

64 ჩიტაშვილი, ნ., (2016). სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღველობის საფუძვლი, ჟურნალი „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადეული“, 13.

65 ბიჭია, მ., (2020). მედიაციის პროცესის კონფიდენციალობის დაცვის სამართლებრივი რეჟიმი და მნიშვნელობა, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, 6(2), 193. <https://doi.org/10.36475/6.2.15>

ნის ანაზღაურება.⁶⁶ ზოგ ქვეყანაში კონფიდენციალობის დარღვევა უფრო მძიმე შედეგს იწვევს, როგორცაა ნ თვემდე პატიმრობა და მედიატორთა რეესტრიდან ამოშლა.⁶⁷

6.3. რეალობა და გამოწვევები

მედიატორის მიმართ საზოგადოებაში არსებული მაღალი ნდობა ხელს უწყობს კომერციულ დავებში მედიაციის განვითარებას.⁶⁸ თუმცა, როცა ეროვნული კანონმდებლობა კონფიდენციალობის დარღვევის ლეგიტიმური საფუძვლების საკმაოდ მსუყე ჩამონათვალს ადგენს, საფრთხე ექმნება კომერციულ დავებში მედიაციის ინტეგრირებას. დარღვევის ერთ-ერთ საფუძველი – სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებით ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება – ზოგადი ხასიათის ჩანაწერია. თუმცა, კონფიდენციალობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლომ მხოლოდ საქმესთან პირდაპირ დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება უნდა მოითხოვოს და შემოიფარგლოს საქმესთან დაკავშირებული მასალებით. რაც მთავარია მოსამართლემ კონფიდენციალობის დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის და სასამართლოში წარდგენილი ინფორმაციის სარგებლის შეპირისპირება უნდა შეძლოს. აქვე აღსანიშნავია, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის უფლებამოსილი პირისათვის ან ორგანოსათვის გამჟღავნების დროს არსებული შეზღუდვა, რომ ინფორმაციის გამჟღავნება მხოლოდ კანონიერი მიზნის ადეკვატური და პროპორციული მოცულობით უნდა მოხდეს, დასახული ლეგიტიმური მიზნის – პირადი ხასიათის ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის – გამოსადეგ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან პროპორციულობის პრინციპის განმარტება ქართული მართლმსაჯულების პრაქტიკის თანახმად გულისხმობს: სახელ-

მწიფოს მიერ სამართლიანი ბალანსის დადგენას, იმ სახით რომ დაცული სიკეთე აღემატებოდეს შეზღუდული უფლების დაცვის ინტერესს.⁶⁹

როგორც ჩანს, ეროვნული კანონმდებლობით ყველა მედიატორს ევალება, მხარეებს აცნობოს კონფიდენციალობის შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძვლების შესახებ, თუმცა მედიაციის აბსოლუტური იმუნიტეტის შესახებ საზოგადოებაში შექნილმა მითებმა შეიძლება აზარალოს მხარე, რაც გამოიხატება მხარის მიერ ინფორმაციის გაუაზრებლად გამხელაში. მედიატორი უნდა იყოს აბსოლუტურად დარწმუნებული, რომ მედიაციის მხარეებმა გააზრებულად მიიღეს გადაწყვეტილებები.⁷⁰ ასევე, არსებითად მნიშვნელოვანია „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით მედიაციაში მყოფ მონაწილეებს კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება დაეკისროთ. ბიზნესსუბიექტთა შიში მედიაციის დროს მესამე პირებისთვის კომერციული საიდუმლოების გამჟღავნების თაობაზე შეიძლება შემცირდეს იმის გათვალისწინებით, რომ კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევის ლეგიტიმური საფუძვლების და ფარდობითი ცნებების (ადეკვატური და პროპორციული მოცულობა) არსებობის მიუხედავად, ეროვნული კანონმდებლობა ითხოვს გამჟღავნებული ინფორმაციის მაქსიმალურად დაცვას მესამე პირისგან.

ამდენად, კონფიდენციალობის პრინციპი არ სარგებლობს აბსოლუტური იმუნიტეტით და მედიაციის თავისუფალი სივრციდან გამომდინარე, შეიძლება ლეგიტიმური შეზღუდვების გარდა, კანონმდებლობაში გაუწერელი ფაქტობრივი გარემოების დადგომის შედეგად დაირღვეს. კონფიდენციალობაზე უარის თქმა მხარეებს შეუძლიათ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რომელსაც ისინი ხელმოწერით დაადასტურებენ და, აქედან გამომდინარე, მედიაციის პროცესში ერთმანეთისთვის განდობილი ინფორმაცია შესაძლებელია სასამართლოში მტკიცებულებად

66 სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997, 786, წიგნი I, კარი I, თავი I, 18 მუხლი.

67 Dursun, A., (2017). The principle of confidentiality in mediation and the role of confidentiality in commercial mediation, Afro Eurasian studies journal, Vol. 6, Issue 1&2, 23.

68 ჩიტაშვილი, ნ., (2016). სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვევობის საფუძველი, ჟურნალი „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადეული“, 21.

69 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, II-28, №3/1/752 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 14/12/2014.

70 Brooker, P., (2013). Mediation law journey “through institutionalism to juridification”, routledge, Britain, 255.

იქნეს გამოყენებული.⁷¹ მაგრამ ამისდა მიუხედავად, ეს ვერ გახდება საფუძველი, მედიატორს სასამართლოში მხარეებმა მოსთხოვონ ამ ინფორმაციის შესახებ ჩანაწერების წარდგენა. რადგან ამ კონტექსტში ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულების ფარგლები არ არის მკაცრად გაწერილი, უმჯობესია მედიატორმა თავი დაიზღვიოს და მედიაციის დასრულებისთანავე კომუნიკაციის შედეგად მიღებული მასალები გაანადგუროს, ხოლო თუ მასალების განადგურების ვალდებულება მედიატორს კანონით დაევალება ვფიქრობ ალნიშნულ სიტუაციაში კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის უფრო მაღალი სტანდარტი იმოქმედებს. ასევე, მხარის მიერ მედიაციის დაწყებამდე ან სხვა კანონის შესაბამისი საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევის ლეგიტიმურ საფუძვლად განსაზღვრა კომერციულ ურთიერთობებში მყოფ ბიზნეს სუბიექტებს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა კანონდარღვევას არ წარმოადგენს, თუმცა აქ საყურადღებოა ფაქტი, რამდენად შეუწყო ხელი მედიაციის პროცესმა ერთ-ერთ მხარეს მეორე მხარისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის გამოაშკარავებაში (იგულისხმება: რა უნდა ყოფილიყო ეს ინფორმაცია და სად მოედებნა). კონფიდენციალური ინფორმაციის უფლებამოსილი პირისათვის ან ორგანოსათვის გამჟღავნების დროს არსებული შეზღუდვა, რომ მხოლოდ კანონიერი მიზნის ადეკვატური და პროპორციული მოცულობით უნდა მოხდეს ინფორმაციის გამჟღავნება დასახული ლეგიტიმური მიზნის გამოსადეგ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს. აქვე აღსანიშნავია, რომ 2013 წლიდან 2021 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის ცენტრს გადაეცა 422 საქმე. 2021 წლის სტატისტიკის მიხედვით, ბიზნეს დავებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ვალდებულებით სამართლებრივი 28 დავა; შრომითი სამართლებრივი – 27 დავა; ასევე, სასახო და მიკროსაფინანსო 33 მიმდინარე დავა ფიქსირდება მედიაციის ცე-

ნტრში.⁷² განხილულ საქმეთაგან მორიგების მანქნებელია 60-70%, ხოლო განსაკუთრებით წარმატებული შედეგები აქვს მიკროსაფინანსო, შრომითი, კომერციული და საოჯახო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს.⁷³

დასკვნა

სამართლიანობა ინტერესთა ბალანსის შენარჩუნების საუკეთესო ხერხია, მითუმეტეს, მედიაცია აძლევს მხარეებს საშუალებას, საკუთარი გადმოსახედიდან დანახული სამართლიანობის ქრილში მიიღონ ერთობლივი ნებაყოფლობითი და სასურველი გადაწყვეტილება.⁷⁴ თუმცა, მხარეების მიერ სამართლიანობის განსხვავებულმა აღქმამ, რომელიც შეიძლება რომელიმე მხარისთვის ყველა მეთოდის გამოყენებით გამარჯვებასთან ასოცირდებოდეს, დააზარალოს კეთილსინდისიერი მხარე, რადგან სასამართლოში მედიაციის პროცესში განდობილ ინფორმაციას საკუთარი ვარაუდების დასაბუთებისთვის ვერ გამოიყენებს. კონფიდენციალობა სამართლებრივ-ფილოსოფიურ ქრილშიც გარკვეულ ჰიბრიდს წარმოადგენს. ეროვნული კანონმდებლობით დროში მისი განუსაზღვრელობა აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას მოგვაგონებს, ხოლო, მედიაციის ურთიერთობის სპეციფიკა და თანდევნი პროცესი, რომელიც პირებს აძლევს საშუალებას, მოსთხოვონ ერთმანეთს ინფორმაციის დაცვა კონფიდენციალობის პრინციპით, აშკარად რელატიური ხასიათის მატარებელია.

ერთი მხრივ, „მედიაციის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლი მხარეების წერილობითი შეთანხმებით უშვებს ვარიანტს, რომ დავის მხარეებმა საერთოდ წერილობით უარი თქვან კონფიდენციალობაზე, მეორე მხრივ, კი – მედიატორის ვალდებულება, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ამ დროს – საერთოდ არ არის კანონით გათვალისწინებული. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს მედიაციის შემდგომ გა-

71 ადვიშვილი, ქ., (2018)-2019. კონფიდენციალობის როლი მედიაციის პროცესში, ჟურნალი „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული“ სპეციალური გამოცემა, 65.

72 თბილისის საქალაქო სასამართლო, N2-4118/4363203, 13/12/2021.

73 იქვე.

74 ჩიტაშვილი, ნ., (2016). სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღველობის საფუძველი, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული“, 9.

ნუსაზღვრელი ვადით კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება. მედიაციის პროცესში მხარეებმა შეიძლება ვერ გათვალონ, სამომავლოდ რა ინფორმაცია შეიძლება გახდეს უსარგებლო და ამან წარმოშვას თავისთავად პრობლემები კონფიდენციალობის დარღვევის ნაწილში. ეს შემთხვევა კი პირდაპირ დაკავშირებული ხდება კონფიდენციალობის დარღვევის ლეგიტიმურ საფუძველთან კერძოდ, მედიაციის მონაწილე მხარეების მიერ კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება თუ ინფორმაცია საჯარო სივრცეში მოხვდა სხვაგვარი საშუალებით.

კოლექტიურ დავებში მინისტრის უფლება, მედიატორისგან მიიღოს ანგარიში გარკვეულწილად მოდის კოლიზიაში ჩანაწერთან, სადაც მედიატორი ვალდებულია, დაიცვას კონფიდენციალურად ყველა ინფორმაცია, რომელიც მისთვის განდობილი გახდა მედიაციის პროცესში. ვფიქრობ, სამომავლოდ საქართველოს შრომის კოდექსში უმჯობესია დაემატოს 63-ე მუხლს კიდევ ერთი პუნქტი, სადაც იქნება განსაზღვრული მკაფიოდ, თუ რა სახის ინფორმაციის/ანგარიშის მიწოდების ვალდებულება აქვს მედიატორს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრისთვის და რა დოზით უნდა ასახოს მედიაციის პროცესში მიღებული ინფორმაცია ანგარიშში, ისე რომ არ დაირღვეს კონფიდენციალობის პრინციპი. ამასთან ერთად, აუცილებელია „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით მედიაციის მიყოფი მონაწილეებს კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება დაეკისროთ (როგორც მედიაციის პროცესში, ასევე მისი დასრულების შემდგომ), რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ნაგულისხმევია კონფიდენციალობის დაცვის ზოგად წესში.

ასევე მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს სამი ჩანაწერი:

ა) სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ჩანერილი ტექსტი, რომლის თანახმად, მედიატორს არ აქვს უფლება სასამართლოზე გამოვიდეს მოწმის სტატუსით;

ბ) მედიაციის შესახებ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მხარეებს შეუძლიათ, წერილობითი შეთანხმებით კონფიდენციალობის პრინციპით დაიცვან გან-

საზღვრული ინფორმაცია ან საერთოდ უარი თქვან მასზე;

გ) მედიაციის შესახებ კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მე-10 მუხლით დაცული ინფორმაცია არ შეიძლება იქნეს გამოყენებული სასამართლოში.

ნებისმიერი ინფორმაცია, რომლის გასაჯაროებაზეც მხარეები შეთანხმდებიან წერილობით, აღარ ჩაითვლება კონფიდენციალურ ინფორმაციად. ეს გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია აღარ ექცევა მედიაციის შესახებ კანონის მე-10 მუხლის დაცვის ქვეშ, რის შედეგადაც სასამართლოზე ამ ინფორმაციის გამოყენება არ ჩაითვლება კონფიდენციალობის დარღვევად. მითუმეტეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში გვხვდება ჩანაწერი, რომ სასამართლო მტკიცებულებად არ მიიღებს მედიაციის პროცესში განდობილ ინფორმაციას თუ მხარეები წერილობით არ შეთანხმდებიან ამ საკითხზე.⁷⁵ თუმცა, რადგან ეს ვარაუდია, უმჯობესია, „მედიაციის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში გაკეთდეს აღნიშვნა იმის თაობაზე, რომ აღნიშნული წესი ეხება იმ ინფორმაციას, რომლის კონფიდენციალობის ან გასაჯაროების საკითხზე მხარეები დამატებით წერილობითი ფორმით არ არიან შეთანხმებულნი, თუმცა ეს წესი ან განსხვავებული შეთანხმება მხარეებს შორის არ ავალდებულებს მედიატორს, გაასაჯაროოს მასთან დაცული ინფორმაცია.

საბოლოო ჯამში ბიზნესდავების მედიაციის წარმატებულად დასრულებისთვის მედიატორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ფოკუსირება მოახდინოს მხარეების ინტერესებზე და შეძლოს მათი გამიჯვნა მხარეების პოზიციებისგან. მედიატორმა უნდა შეძლოს ბიზნეს ურთიერთობებში ემოციური ფონის მოხსნა და ინტერესებზე დაფუძნებული მედიაციის პროცესად გარდაქმნა, ისე რომ არ დაირღვეს კონფიდენციალობის პრინციპი.

75 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, წიგნი I, კარი III, 104 მუხლი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149>> [ბოლო წვდომა: 30 ნოემბერი, 2021].